

140/2.  
1984/2.

ՀԱՅԱՍՏԱՆԻ  
ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅՈՒՆ



ISSN 0182 — 5973

# ՅՈՒՆԵՑՈ

5  
1984

# კორუკი მაისი

ავთანდილ გამარჯვილი

ზეიმია, ზეიმია!

ვაშა ამ დღეს და ამ სითბოს!

ჩვენს სიხარულ-აღტაცებას

ფრინველებიც გრძნობენ თითქოს.

დიდ-პატარა დაბლა ვხარობთ,

აღლუმი აქვთ მაღლა ჩიტებს.

დროშების ზღვა ღელავს ირგვლივ,

ქუჩები ხალხს ვეღარ იტევს.

მხიარული ხალხის ხმები

გადაედო ზვრებს და ბაღებს...

დილა პირველ მაისისა

ყველას გულის კარებს აღებს.

ზეიმია, ზეიმია!

ვაშა, ამ დღეს და ამ სითბოს!

ჩვენს სიხარულს, აღტაცებას

ფრინველებიც გრძნობენ თითქოს!

მხატვარი ზაურ დეისაძე



# მამუკა

## წარმატებული ანთენა

მ. არგარეთელი


არაერთი სასარგებლო წამოწყების თაოსანი გამხდარა საწარმოო გაერთიანება „ელმავალმშენებლის“ ლონიერი და გონიერი კოლექტივის ახალგაზრდობა, არაერთი საგულისხმით საქმე გაკეთებული აქაური კომეკშირელების მოწადინებითა და შრომით, ხოლო ამ წამოწყებათა და საქმეთა შორის უთუოდ გამოსარჩევია მოსწავლე-ახალგაზრდობაზე შეფრთხა.

ზრუნვა ქართველ ელმავალმშენებელთა როგორის ახალგაზრდა შევსებაზე, მათზე, ვინც ხვალ თუ ზეგანისარმოს ბირთვი უნდა შეადგინოს, გაერთიანების კომკავშირელებმა სათავისო საქმედ გაიხადეს და როდესაც ამ ოთხი წლის წინ კომკავშირის კომიტეტში კომკავშირულ-პედაგოგიური რაზმის ჩამოყალიბებაზე ჩამოვარდა სიტყვა, ყველამ უყოფანოდ დაუჭირა მხარი გამოთქმულ აზრს. საქმე, რა თქმა უნდა, ერთბაშად არ გადაწყვეტილა — იყო კამათიც, აზრთა სხვადასხვაობაც, — ძირითადად რაზმის სტრუქტურასთან და მისი მუშაობის მიმართულებებთან დაკავშირებით, — ერთ რამეში კი ყველა მაშინვე შეთანხმდა — პედაგოგის მთავარი დანიშნულება უნდა ყოფილიყო ქმედითი მონაწილეობა მოსწავლებთან კლასგარეუშე მუშა-

ობაში, ამავე დროს. საქმიანი წვლილის შეტანა არა მარტო მოზარდების შრომითს აღზრდაში, არამედ მათი მოქალაქეობრივი მრწამსისა და ცხოვრებისეული პაზიციის ჩამოყალიბებაში, საზოგადოების, ხალხის წინაშე პასუხისმგებლობისა და მოვალეობის გრინობის გამომუშავებაშიც.

უკან დარჩა მოკლე მოსამზადებელი პერიოდი და საიარალო სამწროს კომკავშირულ-ახალგაზრდული კომელექსური ბრიგადის ბაზაზე შექმნილი კომკავშირულ-პედაგოგიური რაზმი „სიჭაბუქე“, რომელსაც სათავეში ბრიგადის მაშინდელი ხელმისამართი ესახება ამ დრიგადის მაშინდელი ხელმისამართის მინიჭების და ძირითადი მომენტები. უპირველეს საზრუნავად, რა თქმა უნდა, ორივე მხარემ მოსწავლეების აკადემიური მოსწრება აღიარა. შეფრთხის მეშვიდეკლასელები სოცეჭიბრში გამოიწვიეს და მისი შედეგების დაჯამების პი-

ჟელაზე ურწმუნონიც კი სამუშავებელი ულნი გახდნენ შეფების დამსახურების სიკეთე ელიარებინათ და ახლა აშკარა შურითლა შეძლებულებინენ ახალგაზრდა ელმავალმშენებელთა საშეფლ VII კლასს. თავად მეშვიდეკლასელებმა კი შეფების სახით ჭეშმარიტი მეგობრები შეიძინეს. უფრო სებმა თავიდანვე გამოძებნეს უმცობრისებთან ურთიერთობის ერთადერთი სწორი ტონი, რასაც სულ მალე ორივე მხარის დასხლოება მოჰყავა. ახლა უკავე მოსწავლეებმაც და მათმა შეფებმაც კარგად იცოდნენ ერთმანეთის წარმატებები და პრობლემები, საზრუნავ-საფიქრალი, ოცნებები და სამომავლო გეგმები და სწორედ ყოველივე ამის შესაბამისად იქნა განსაზღვრული მუშაობის მთავრი მიმართულებები და ძირითადი მომენტები. უპირველეს საზრუნავად, რა თქმა უნდა, ორივე მხარემ მოსწავლეების აკადემიური მოსწრება აღიარა. შეფრთხის მეშვიდეკლასელები სოცეჭიბრში გამოიწვიეს და მისი შედეგების დაჯამების პი-



ჟილებითი სეიცი გამოიარანტინის დამსახურებისთვის.

დღვანელი მევლუდ ლაშაური ჩაუდგა, მოღვაწეობას შეუდგა. სხვადასხვანირად შეხვდნენ 114-ე სკოლაში შეფების გამოჩენას: ერთი — სრულიად გულგრილი, მეორენი — უნდობლად. რა თქმა უნდა, იყვნენ ცეცხლებიც, თავიდანვე რომ ირწმუნეს ქარხნიდან მოსული ახალგაზრდებისა. ხოლო სულ მოკლე დროში

რობებზეც შეთანხმდნენ.

სათვალავში მისაღები უნდა ყოფილიყო მოსწავლეთა მხრიდან — სწავლისა და დისციპლინის მაჩვენებლები, ელმავალმშენებელთა მხრიდან — საწარმოო მაჩვენებლები და ღისციპლინა. სტიმულირებისა და წახალისების ამ ნაცადი ფორმის შედეგებმა არ დააყოვნა — მეშვიდე





მონიშვილების მუზეუმი „ელექტრობაზონისადან“.



გადამდგრად აღმნიშვნელ თვალს მოხავლეები უცხაოსი შუაობას.

კლასში საგრძნობლად ამაღლდა აკადემიური მოსწრება. გაიზარდა ელემანიუმშენებელთა კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადის შრომის ნაყოფიერება.

კარგად დაწყებული საქმე შემდგომშიც კარგად წარიმართა. შეფეხბის ინიციატივით სკოლაში შეიქმნა წრეები: მხატვროლი თვითმოქმედებისა, ნორჩი ტექნიკოსთა, ნორჩ მედიკოსთა, სცენის მოყვაოსულთა, ჩამონაკლინიკური მეცნიერებების სწავლის ერთგვარი სტიმული გახდა.

საქმე იმიშია, რომ თავიდანვე გამოცხადდა, წრეებში ჩამორჩენილებს არ მიიღებენ. პოდა, ცველაზე ზარმაცებაც კი მოუწიათ „თავის მოქექვამ“. წრეების მუშაობის ხელმძღვანელობისათვის ახალგაზრდა მუშებმა სამედიცინო და ინდუსტრიულ-პედაგოგიური ტექნიკუმების მოსწავლეები და სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტებიც დაიხმარეს. გარდა დასახელებული წრეებისა, სკოლაში შეიქმნა პოლიტიკური განათლების, კომკავშირული და პიონერული სწავლების სექტორები. სადაც მოსწავლეები პოლიტიკური ცოდნის საფუძვლებს ეცნობენ იმანილებენ საერთო განათლების დონეს.

შეფეხბის ერთ-ერთი მთავარი საზრუნვა იმთავითვე გახდა მოსწავლე-

გამოჩენდა ახალგაზრდა ელემანიუმშიც ნებელთა საშეფო მუშაობის დეცენტრალიზაციი — იმ ახალგაზრდებს შორის. ვინც „ელმანიუმშენებლოდან“ დაიწყო თავისი შრომითი ბიოგრაფია, თითქმის ცველაზე მეტი 114-ე საშუალო სკოლის კურსდამთავრებული იყო. ხოლო ერთერთი ყოფილი სამეურვეო ყმა-წილთაგანი, გელა გელიტაშვილი. შემდგომში შეფეხბის კომკავშირულ-ახალგაზრდულ ბრიგადაში ჩაირიცხა.

ახლა „სიჭაბუკის“ წევრებს ახალი საშეფო კლასი ჰყავთ. ნაწილობრივ შეიცვალა საიარალო სამეცნიერო კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადისა და თავად პედაგოგიური რაზების შემადგენლობაც. უცვლელი დარჩა საშეფო მუშაობის შინააოსი და მიზანი, ახალგაზრდა მუშების მოწალინება და მზადყოფნა — ცხოვრების სწორი გზის არჩევაში დაეხმარონ უმცროს მეგობრებს. მოამზადონ პიონერები კომკავშირში შესასვლელად. ასწავლონ მათ შრომის ფასი და პატივისცემა. ხელი შეუწყინონ მათში საუკეთესო თვისებებისა და ჩვევების ჩამოყალიბებას. ამის უფლება ორმ პერსონალი. შეფეხბი პირველ რიგში თვითონ უზარ იყვნენ საუკეთესობი. ხოლო გია გამიერავილი, ორმა დობოვი, კობა ლაზეგაშვილი, რაჩი ხელსესიანი, აოტურ სოფიანიშვილი და გორგა ხაჩიძე რომ ასეთები არიან, ცველას იკის „ელმანიუმშენებელშიც“ და, რა თქმა უნდა, მათს საშეფო სკოლაშიც.

გარდა 114-ე სკოლისა, „სიჭაბუკის“ წევრები კოქრის ბაგშეთა სახლის ალსაზრდელებსაც შეურვეობენ. ჩპრად ჩადიან მათთან, ჩაქეთ საჩუქრები, ატარებენ შაბათობებს, ამ ზამთარს შეშაც აუტანეს, სამომავლოდ კი ფიქრობენ საბაშვილ მოქმედებიც მოუწყონ პატარებს.

საქმე წინ ბევრი ელის მოსწავლეებსაც და მათ მეურვეებსაც, ხოლო უკვე გაშეული მუშაობა იმის საწინაღო არიან, რომ წარმატებები მომავალში უფრო მეტი იქნება.



# ბეჭდ აფვავებული ცუნძღი

ქართველი ქადაგი

მ თ ხ რ ს პ ა

განატვარი თემზუ ფასიადი

ის-ის იყო სახვალიო გაკვეთილების სწავლას მოვრჩი, და მამაჩემიც დაბრუნდა სამსახურიდან – პივაკი სკამის საზურგეს მოახურა, ჰალსტუხი მოიხსნა, მკერდი მოიღედა და ღიმილით თქვა:

– ჰო, ჰო, რა ამინდია! ახლა ერთი ჩვენს ორლობეში გამატარა – იქაურობა ასკილისა და ის სურნელით იქნება გაუღენთილი!

– მერე, ვინ გიშლის წასვლას? – ეუბნება დედაჩემი, თან წიგნებს ასწორებს თაროზე. – ადამიანის მთელი ცხოვრება სანატრელამდე მისვლის ცდაა, მეტი კი არაფერი! შე კაცო, სულ უბრალოდ მისაწვდენი ნატვრა გქონია და რა რა გაყოყმანებს, გამაგებინე მაინც!

მამა ღია ფანჯარასთან მივიდა, ნუშებით აბოლებულ გორას გახედა:

– სოფლელი იყო, მაგას არ მეტყოდი.

– უი, ახლა არ გამახსენდა?! – უცებ შეტრიალდა დედა, გვერდითა ოთაბში შევიდა, – აგერ, გელამ წერილი მიიღო სოფლიდან!

მამამ კი თითქოს სხვათა შორის თქვა:

– მივლინებაში ვარ ორშაბათიდან, არადა, ვიფიქრე, შაბათ-კვირას წავალ ჩვენებთან, მიწის საქმეშიც ხელს წავახმარ და იქაურ გაზაფხულსაც თვალს მოვავლებ-მე-თქვა.

დედამ წერილი მომაწოდა და მერე პკითხა მამას:

– ახლა სადაო?

– ისევ რიგაში.

– ისევ ერთი თვით?

– ორი კვირით.

– რას ჩაგაცივდნენ, მარტო შენ გხედავენ იმხელა ინსტიტუტში?

– ჩემი განყოფილების საქმეა და სხვა ვინ უნდა წავიდეს?

რეზოს წერილი იყო, ჩემი ბიძაშვილისა. ისიც მეცხრე კლასშია. უცებ შემოვარიდე კონვერტი და უფრო გე-

მრიელად რომ წამექითხა, სკამიდან სავარძელში გადავინაცვლე. ჯერ: ყველას სიყვარულით მოგიყითხავთ: როგორ ბრძანდება თქვენი ბრწყინვალებაო; თუ შენ კიდევ ჩვენს ამბავს იკითხავ, მაინცდამაინც ბევრი არაფერი გვიშირსო. მერე: მურიამ ხუთი ლეკვი დააგდო, ალე პაპას სიტყვა ძირს დაგუშვი და ხუთივე შევურჩინეო; ამ დღეებში ფოთოლამაც იმარჯვა – სახარე მოიგო. ძალიან ეწყინა მამაჩემს – ვაი, თქვე საცოდავებოო; ახლა ხარი აღარავის სჭირდება, ვიდრე დასაკოდი გახდება, მანამდე დაკლავენ ხოლმეო. ბოლოს: მთელი ერთი კვირაა ნატო ბებია მწოლიარე ავადმყოფია. შევკრთი:

– ნატო ბებია ყოფილა ავად! – არ ვიცი რატომ. ბარათი ჩავმუშე და ხელი ზურგს უკან წავიღე.

– რაო?! – თავზე დამადგა მამაჩემი, – რეზო იწერება?

– დიახ, ისაო... მთელი კვირაა წევსო.

მამამ წერილი გამომართვა, სწრაფად ჩაიკითხა, მერე დედას მიაჩეჩა ხელში და სკამის საზურგედან პიჯაკი აიღო:

– სოფელში მივდივარ ახლავე!

დედამ კონვერტს დახედა:

– მოიცა, ვახტანგ, შვიდი დღის გამოგზავნილია. ჯვარი სწერია და, საშიში რამე რომ ყოფილიყო, აქამდე ან ტელეფონით დაგვეხმაურებოდნენ, ან დეპეშით, ანდა სიტყვას გამოატანდნენ ვინმეს. ასე აღელვებულს ვერ გაგიშვებ, – არ დაანება პიჯაკის ჩაცმა. – შარშანწინ მამაშენს მანქანა რომ დაეჯახა, რაღაც ნახევარ საათში არ მოგვაწვდინეს ხმა?

მამამ მუშტი დაარტყა მაგიდას:

– რაღა ახლა გამოტყვრა ეს უპატრონო მივლინება!

– რა იყო, ადამიანო, ყველაფერზე დარდი და ნერვების აწიოკება შეიძლება?.. როდის უნდა გაფრინდე?

– ხვალზევით, საღამოს რეისით.

– სხვა ყველაფერი მოაგვარე?



— თითქმის.

— რას ნიშნავს თითქმის?

— ვიდრე საბუთებს გავამზადებდით, დირექტორი აკადემიაში გამოიძახეს სასწრაფო საქმეზე. დამელოდეო, მაგრამ მერე დარეკა, ველარ მოვდივარო. ხვალისთვის დამიბარა. ასე რომ, საბუთებს ხელის მოწერაც აკლია და ბეჭედიც. თვითმფრინავის ბილეთიც ასაღებია.

— რომელ საათზე გელოდებიო?

— თორმეტზე.

— დღო ბეჭრი გვაქვს, სოფელში წასვლა-წამოსვლას ოთხი საათიც არ უნდა, მაგრამ ასე აჯობებს: მამაჩემს ვთხოვ და ის წავა ინსტიტუტში, საუხერხელო არაფერია, აკი კარგად იცნობს დირექტორს. ინსტიტუტში წავა და ბილეთსაც აგილებს, ფიქრი ნუ გაქვს, ორივე ადვილად მოგვარდება უშენოდ. ხვალ დილით წადი და კიორას დაბრუნდი შუადღისას. ახლა კი ჩერ გაგიშვებ, ვითომ არ იცი, პარასკეობით რა ამბავია გზებზე — მანქანების გადარბენა გეგონება. აი, გელაც წაიყვანე. ხომ წასვალ, შვილო?

გამიხარდა რომელია, მაგრამ თავი დავიფასე:

— მერე სკოლა?

— განცხადებას გავატან ალეს, — ჩემს ძმაზე მითხრა.

— მოულოდნელად რომ გამოეცხადები, უფრო გაახარებ ბებიაშენს.

ადრე დაგწერით დასაძინებლად. ალე მაშინვე წავიდა სიზმრებში. მე კი ძალიან მინდოდა დამეძინა და უფრო იმიტომ ვერ დავიძინე.

დედამ რომ გამალიდია, ფანჯარაში გავიხედე მაშინვე — სიბერელე გაცრეცილიყო, ჩიტებიც უიველებდნენ. ალეს კი, რომელ გვერდზეც დაწვა, ისევ იმ გვერდზე ეძინა.

ცივმა წყალმაც ვერ გამომაფხიზლა რიგიანად — რაცაცით ჩავედი კიბეზე.

მანქანაში მამაჩემის გვერდით ვაპირებდი დაჯდომას, კარიც გამოვალე. შემატყო, გამოუძინებელი რომ ვიყავი, ამიტომ მითხრა, უკან დაჯერიო. ქალაქს არ ვიყავით გამოცილებული, ძილმა რომ წამართვა თავი, და როცა გამომელიდია, მანქანა ჩვენს ჭიშკარში შედიოდა უკვე. პირველად ნატო ბებია მომხვდა თვალში — მსხლის ქვეშ, ამოღრუტნულ ლოდთან მიედგა ნამორი, ფილთაქვა მოემარჯვებინა და სიმინდს უნაყავდა წიწილებს. ჩვენ რომ დაგინახა, მუშაში შერჩენილი სიმინდი ვედროში ჩაყარა, ფილთაქვა ლოდზე დააგდო და ციმციმ წამოდგა:

— უი, თქვენა ხართ, შვილო!

მანქანიდან გამოვსხლტი და ხელებგაშლილი გავიქცი:

— ნატო ბებიას ვენაცვალე!

— ეგ რა წამოგვალა, შვილო?! ღმერთო, არ უსმინო — მე უნდა გენაცვალო, შვილო, მე! — ისე ღონივრად ჩამიკრა გულში, ნავადმყოფარისა არაფერი ეტყობოდა.

ერთმანეთის მოფერებას რომ მოვრჩით, საყვედურზე გადავიდა ბებია:

— ეგრე რო დაგვივიწყეთ, შეიძლება, ხალხნო?!

— რას ამბობ, დედი?! — გაიოცა მამაჩემა, — თვეში

4 ერთხელ მაინც ჩამოვდივარ და ჩემი სამსახურის პატ-

რონს მეტს რაღასა მოხოვ?

— სულ არ წასულიყავ, მე ის მერჩივნა! სტერილურობა არიან?

— რეზომ მოიწერა შენზე, ავად არისო და, როგორდა იქნებიან?

— ვერ უყურებ?! გავაფრთხილე, არ გააგებინო-მეთქი, არაო, და მაინც ჩამოუფრიალებია. სიცხე ამეცვიატა და ექიმმა, ათიოდე დღით უნდა ჩაითუნიო. გუშინწინ გავეშვი.

— მამაჩემი სადღაა?

— ჭალის ვენაბში წავიდა, ორიოდე სარი დამრჩა ჩასანაცვლებელი და მზით ამოგალო. ამოვა და, მერე კიდევ შინა ვენას გამოუთოხნის ძირს, გუთანი შევიპორეთ, დღესვე უნდა მოვხნათ. იქ რა არის, ორ საათში გამოჩიჩნის!

ეზოს მოვავლე თვალი: მთელი ხეხილი ნაირ-ნაირად იყო გადაპენტილი. ღობის შინდს უკვე დაეყვავილებინა. მსხალი, ვაშლი, ატამი, ქლავი, ტყემალი, ალუჩა ისევ თეთრად აქანავებდნენ ტოტებს. ნიავი რომ წამოუვლიდა, ნაწყვეტ-ნაწყვეტ მონანაობდა ფიფქი.

მამას და ნატო ბებიას ჩემთვის აღარ ეცალათ, მეც საქმე გავიჩინე, წიწილებს სიმინდს დავუნაყავ-მეთქი.

ვედროზე მამალი დამჯდარიყო. ალბათ ცოტადა ეყარა შივ — მარცვლის ამოსალებად რომ ჩაყუდებოდა ხოლმე, რის ვაი-ვაგლახით იმაგრებდა თავს. ბოლოს აკი ჩავარდა კიდევაც. ისეთი ქოთქოთი ატეხა, ისე ააფათქუნა ფრთები და ისეთი ხმა გაიღო ვედრომ, დაფეთებული წიწილები მიმოიფანტნენ. ჯერ აკრიახდა კრუხი, მერე კუტკუტზე გადავიდა, მეც მივეხმარე და წიწილებს უცებ მოვუყარეთ თავი. მსხლის ქვეშ თეთრად ეფინა ყვავილის ფიფქი. შორიდან რომ გახედავდი, ამ სითეთრეში ყვითელ, მოძრავ წერტილებად ჩანდნენ წიწილები.

ლოდის ერთ მხარეს დაგვილი იყო მიწა. საგულდაგულოდ დაგნაყავდი ორიოდე მარცვალს, ხელს მოვუსვამდი და იმ დაგვილ მიწაზე გადავყრიდი ხოლმე. ისე იკენებოდნენ წიწილები, იფიქრებდი, კი არ ჭამენ, აკენკობანას თამაშობენ. ეტყობა ქათმებისათვის ჯერ არ დაეყარა საკენკი ბებიას — თავაწეული იდგა კრუხი და ახლოს არ უშვებდა აწრიალებულ დედლებს. სიმინდის დანაყვით ვიყავი გართული და ვერ გავიგე, ბიძაჩემი გიორგი როდის შემოვიდა ეზოში. ეტყობა, კარგა ხნის მოსული იყო, რაკი მისაკითხ-მოსაკითხი საუბარი არ მესმოდა.

— ასეა, თითქმის ერთბაშად გამოაქვს ვენას კვირტი, ჯერჯერობით ერთიც არ მინახავს გაცდენილი.

— იქნებ წლეულს მაინც გაიმეტოს ბარაქა, — მანქანის კარი ღია დარჩენია მამას და ახლა კეტავს.

— ამდენ გარჯას რომ არ გვიფასებს, ისა მწყინს, თორემ სულ უმაგისხობასაც ავიტანთ როგორმე. — მერე მე დამეხმაურა ბიძაჩემი: — მაგდენს რომ აჭმევ, ბიჭო, წიწილებს, გულძმარვა აუტყდებათ.

ფილთაქვა ღიმილით დავდე ლოდზე და წამოდექი:

— მე კი მეგონა, სძინავს-მეთქი.

— აქამდე ძილი, განა რეზო ვარ! — მაკოცა და მერე



ჩაკუნტდა. ხელმოჩრდილვით ამომხედა. — შენა ხარ თუ დაპატარავებული მამაშენი?

— მსგავსება და ეგეთი, ადამიანო?! — ხელი ხელს შემოჰკრა ნატო ბებიამ. — ბოლო არდადეგებზე რომ იყო აქა, ერთ დღესაც, აუღია წალდი და რაღაცას ჩორქნის. აივნიდან ვუყურებ — პატარა ვახტანგია გამოცხადებული! ფიქრში წაველ — სწორედ რომ ვახტანგია! ისე მომეჩვენა, თითქის მთელი ოცდახუთი წლით ვიყავი უკან, მთელი ოცდახუთი წლით ახალგაზრდა. რა როგორ იყო, ვეღარ ვიტყვი, ის კი კარგად მახსოვს, დავუძახე, რამე არ იტკინო, შვილო, ვახტანგ-მეთქი. ამომხედა, ის აյი დილას თელავში წავიდაო. მწარედ მოვიჩქმიტე მკლავი და ისე დავბრუნდი აქა.

— ეჟე! — აივანზე აყვირდა რეზო და უკან რომ მივიხედე, უკვე კისრისტეხით ჩამორბოდა კიბეზე. მოვიდა და გადარეული მოზვერივით დამეტაკა. უკან რას დავისხევდი: ხან მე ვიყავი ქვეშ და ხან — ის.

— გეყოფათ, შვილო! — გასაშველებლად გვეცა ნატო ბებია.

მამაჩემი დაფიქრებული მოგვჩერებია, ბიძაჩემი ხით თხითებს, მე და რეზო კი ტანსაცმელზე აკრულ მსხლის ფიფქებს ვაცლით ერთმანეთს.

— ლექვები ნახე? — მეკითხება რეზო.

— აქამდე წიწილებს აჭმევდა, — უთხრა ბებიამ.

— წამოდი, გაჩვენო, სათივის ქვეშ დაყარა.

ჩვენ რომ მივედით, მურია ძუძუს აწოვებდა ლექვებს. დამინახა, კუდის ქიცინით აიწია წამოსადგომად.

— იწექი, — თავზე ხელი დაადო რეზომ.

მართლაც ხუთი დაეგდო: სამი ხვადი და ორიც ძუჯნა. თვალები უკვე ახელილი ჰქონდათ. თამამი ლექვი ავიყ-

ვანე, გულში ჩავიხუტე. მურია კეთილი, მიმნდობე თბა-  
ლებით მიყურებდა. ისევ რომ დავსვი, ჯერ ლექს და-  
ნა, მერე ხელზე დამიწყო ლოკვა. არ ვიცი, რატომ, ძა-  
ლიან შემეცოდა მურია.

— წამოდი, ახლა ბოჩოლა ვნახოთ, — ჯერ თვითონ გა-  
ტრიიალდა რეზო.

საძროხეში შევედით. ცალკე მოღობილში, კორაკან-  
ში იდგა ბოჩოლა, ფოთოლა კი მოკლედ მიებათ გეჯას-  
თან აკაციის ბოძზე. დაგვინახა ფოთოლამ და შემოგვზ-  
მუვლა. ბოჩოლა დიდი, წყლიანი თვალებით გვიყურებ-  
და.





შეფარებული ონკანი წყალს მოათქრიალებდა და გვიდრე ხელ-პირს დაიბანდნენ, ბოჩოლაზე, და გვიდრე ტიწილებზე საუბარიც მოასწრეს და არც სკოლის სამხიარულო ამბები დავიწყებიათ. მერე მაყვალა ბიცოლაც ჩამოვიდა და ეზოში მორიდებით უთხრა მამას, წუხელ რატომლაც ძილი გამიტყდა და გათენებისას ძლივს ჩამეძინა.

— ბიძაჩემი ფიზიკასა და ალგებრას ასწავლის სკოლაში, ბიცოლა — ქართულ ენა-ლიტერატურას.

საუზმობისას რეზომ რაღაც უჩურჩულა გიორგი ძიას.

გიორგი ძიამ თავი გააქნია და ხმამაღლა თქვა:

— არ გამოვა ეგ საქმე!

— წუხელ აკი გამომკითხე და, ხუთზე იციო? — რეზომ კარაჟიანი პური თევზშე დაღო და წამოდგა. — სხვა დროს როდის მითხოვია ეგეთი რამე?

— რა მოხდა? — იკითხა მამაჩემმა.

— ბოლო ორი გაკვეთილი ჩემი აქვს და გამათავისუფლეო... სკოლაში უკვე მოსწავლედ მეოვლები.

— პოდა, იქ გთხოვ, როგორც მოსწავლე.

— ამ შემთხვევაში თითქოს შეიძლება.

— შეუსრულე ეგ თხოვნა, — ჭიქა აიღო მამაჩემმა, ერთი ყლუბი რძე დალია და თავი ასწია, — მშენივრად თქვა ლევ ტოლსტოიმ: რძეს რომ ვსვამ, ხბოს ბლავილი მესმისო.

არადა, მართლა ბლაოდა ხბო.

გიორგი ძიამ საათზე დაიხსდა:

— ცოტა იჩქარეთ, ხუთი წუთიდა დაგვრჩა.

ხუთი წუთის შემდეგ სამნიღა ვიყავით შინ.

მამამ სამუშაო ტანისმოსი ჩაიცვა, ბოსტნის თოხი მოძებნა და ფხას რომ უსინჯავდა, ნატო ბებიამ ჰკითხა:

— რათ გინდა, შვილო?

— მამაჩემის დაბრუნებამდე ნიორს მაინც გავთოხნი.

— ახლახან გათოხნა გიორგიმ, შვილო.

— კიდევ რომ გაითოხნოს, აწყენს?

— არ აწყენს, მაგრამ რაღა ძალაა..

ჩევნს ბალ-ბოსტანს მავთულის წულლობე აქვს შემოვლებული. ზაფხულობით, სიმწვანე რომ გამოილევა ეზოში, რაკი გარედან კარგად ჩანს მორწყვით გალალებული ბოსტნებული, ერთი უნდა გაჩვენათ, რა დღეში არაან ქათმები: გაუვლიან და გამოუვლიან ხოლმე ლობეს, გაუვლიან და გამოუვლიან — შიგ შესვლა უნდათ, მაგრამ რას გაუშვებთ მავთული!

მამამ თოხი ორგაპა ხურმაზე მიაყუდა და ხეხილს ათვალიერებს:

— ამ სახლს რომ ვაშენებდით, აგვისტო იყო, ისე ცხელოდა, რაღა ვთქვა! მაშინ ეზოში წყალი არავის ჰკინდა გამოყვანილი და ჩვენ საიდანდა გვექნებოდა! აგერ, ხეგის წყაროდან ვეზიდებოდით მე და ბიძაშენი. თითოს კინალამ ოც-ოცერ გვიწევდა იქ ჩასვლა-ამოსვლა. თამაში გაინია? მაგრამ სახლის აშენება ისე გვიხაროდა, ერთ-ხელ არ ავბუზელუნებულვართ. ამოვიტანთ წყალს, ვხედავთ: კედელს სიმაღლე მომატებია. ვერ წარმოიდგენ, როგორია მშენებლობის სიხარული. მე და ბიძაშენმა მა-



შინ დავრგეთ ეგ ტყემალი და ესა, — ხელი მიარტყა ბალს. — კალატოზმა მოგვიტანა ნერგები. რომელმა რომელი დარგასო, კენჭი ვყარეთ. ბლის დარგვა შემხვდა. აყვირდა ჩემი ძმა, განგებ შემახვედრეთ მუვეო. რომ დამწიფდება, დატქებაო, — ეუბნება კალატოზი. ახლა პასუხს არ იკითხავ? ტყბილი ტყემალი რაღა ტყემალია!

მამამ ახლა ღობის ძირში გაყოლებულ, ბოლქვა-ბოლქვა ამოვარდნილ ჭინჭარს გააყოლა თვალი, — დედი!

— რაო, შვილო? — აივანზე ლოგინს ამზურებდა ნატო ბებია.

— ხმელი შოთები ხომ არ გვაქვს? ჭინჭრის ნახარშსა და ორთქლში დამბალი შოთი მომენატრა.

ხეხილის ყვავილში მწვანედ ღაღანებს დაორფოჩებული ნიორი. მამა ფრთხილად, დაკირვებით თოხნის ნიორს. კვალს რომ გაიტანს, ამ სითეთორეში ისე ჩანს შავი ხაზები, გეგონება, ფიქრში იყავი წასული და დაგიყვირესო. მაისის ვარდს უკვე დაუწყია კოკორი. იქვე ბროწეულის ბუჩქი დგას და ისე ანანავებს ტოტებს, თითქოს ვიღაცას ახალგაღვიძებულ, მოწითალო ფოთლებს უჩვენებსო.

ხან ლეკვებს დაგხედე, ხან ფოთოლას, ხან ბებიას მოვეხმარე ჭინჭრის მოკრეფაში და ხელები დავისუსხე. ამასობაში რეზოც დაბრუნდა სკოლიდან — მესამე გაკვეთილი კიდევ ქართული გვეკონდა და დედამ გამომიშვაო.

მამაჩემი უკვე მორჩინილი იყო ნივრის თოხნას და შინავენახში ავიარეთ, რაღა მამაჩემი ვაწვალო, აქა ვარ და იძასაც მე გავთოხნიო. ჩვენი შინავენახი სოფლის თავშია, სამი მხრიდან ცოცხალი ღობე აქვს, ერთი მხრიდან ტყე. ცოცხალ ღობეში ტყემალი, ქლიავი, ჰერამი, ატამია შერეული, თეთრი, ბუსუსიანი ატამი, ღობის ატამი რომ ჰქვია, ისა. ვენახად გვეთვლება, თორემ სულ ათი მოკლე მწერივია, გვიან მწიფდება და გვიანაც ვკრეფთ, უფრო სწორად, ყურძნად გამოვიზოგავთ ხოლმე.

ირგვლივ ისეთი სურნელი ტრიალებდა, ხმა მქონდეს, სიმღერას შემოვძახებდი. თითქოს ჭორაობენო, ღობე-ღობე ჯგუფ-ჯგუფად იდგნენ წითლად და თეთრად აბდ-ლერიალებული ასკილები; ღობის ძირები და ტყისპირი საფე იყო ითა და ფურისულათი. ჩიტები სტვენა-გალობით იქლებდნენ იქაურობას. აქაც ჰყვაოდა ხეხილი, ხეხილი და ტყისპირებზე, ხიჩატელი: კუნელი, ზღმარტლი, პანტა, მაუალო, მაგრამ ეს ხიჩატელი დაბარდებული იყო გადაკაფვით. მოშორებით, ხევის ჩაფერდებასთან აყვავებული ხეხილის თავზე მწვანედ ამოსხლეტილიყო სასაფლაოს კვიპაროსები. იმ კვიპაროსებს თვალი მოარიდა მამამ, გადაპენტილ ბალამწარას ახედა და თქვა:

— რამდენჯერ ვუთხარი მამაჩემს, ხიჩატელი და ჭინჭარები, მაგრამ არ დაიშალა თავისი, ჯერ რა ვაზია და ამასაც ჩრდილში მოაქცევსო. — ჩაიმუხლა, ხელები მიწას დააყრდნო და ია დაყნოსა.

— მაგდენ წვალებას მოწყვეტა არ სჯობია? — გაეღიმა რეზოს.

— ცოდვაა მოსაწყვეტად, მალეც ჰკნება და, რა თქმა უნდა, სურნელსაც მალე კარგავს.

— მაშინ ვიხოხოთ ასე, მუხლებზე.

— რაკი გიყვარს, უნდა იხოხო.

რეზომ წალდი გამოიყოლა: აქა-იქ, ჯაგრცილა, შავრცილა, ხეშავა, კუნელი, ნეკერჩალია ვენახში შემოწეული და ის უნდა ჩავეკაფოო.

მამამ თოხნა დაიწყო, რეზომ კი მჭადაქვით გალესა წალდი და მერე გამეტებით მოუქნია კუნელს — ტოტები ჩამოასხიპა. თან კუნელს კაფავს, თან ფეხით თქერავს იასა და ფურისულას.

— რას შვები, ბიჭი?! — წალდზე ვუტაცე ხელი.

— რა მოგელანდა?! — გაოცებული მიყურებს.

— აბა, დახედე, რა დღეშია ია და ფურისულა!

— ესენი სულ აქ არიან გაზაფხულობით, ამათი გული-სათვის ვენახში შემოვუშვათ ტყე?

— ცოდვაა, — ჩაიჩეჩებილ იას დავხედე, — ფეხი მაინც მოარიდე!

— მაგას რომ ვუყურო, წალდს ჩავირტყამ რამეში! არაფერია, გაისად ისევ მოვლენ სიცილითა და სურნელით. — ისევ მოიქნია საჭრელი.

— მოიცა, რეზო! — თოხი მიწაში ჩატოვა მამამ და სწრაფი ნაბიჯით წამოვიდა. — მართალს გეუბნება. — კუნელის აყვავილებული ტოტი აიღო, — ახლა ნამდვილად ცოდვაა. თუ დაკაფვა გინდოდა, ვიდრე კვირტი გაიღვიძებდა, მანამდე დაგეეაფა, შე კა კაცო! სედავ? — კუნელის ცერად ჩაჭრილ ტოტს ისე მოუსვა ხელი, თითქოს ეფერებაო, — წვენი დაიძრა, ამას ტირილს ეძახიან. ეს შემოწეული ტოტები ვერაფერს დაკლებს ვენახს, ჩვენ კი, ჩვენ, სიკეთეს არ დაგვაყრის მაგის ცოდვა. მომეცი წალდი! რა უცებ დამახინჯდა ეს დალოცვილი კუნელი!

რეზომ მორჩილად გაუშვა წალდს ხელი და გუთნის ნაკვალევში გადავიდა.

მამამ აყვავებული კუნელის ტოტი ვენახის მავთულზე ჩამოჰკიდა და თოხი აიღო ისევ; ორიოდეჯერ გამოჰკრა, მერე უცებ ჩაიმუხლა — რაღაცას დააკვირდა.

— რას უყურებ, მამი?

— ხვართქლაა, ისე ლამაზად ამოსულა, ლამის შემოგუთხნო.



# 30 ტებენე – კონკურსი

თოხი წლის განმავლობაში – 1941 წლის 22 ივნისიდან 1945 წლის 9 მაისამდე მძინავარებდა საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომი ფაშისტური გერმანიის წინააღმდეგ – ყველაზე უძინესი, უსასტიკესი და გამანადგურებელი ომი დედამიწის ისტორიაში.

1418 უსასრულოდ გაწელილი, მძიმე განსაცდელით, სისხლითა და ცრემლით, უილაჯო კვენესითა და გამარჯვების ყიუინით სავსე დღე და ღამე...

20 მილიონი დაღუპული საბჭოთა ადამიანი... 6 მილიონი დანგრეული სახლი... ნაცარტუტად ქცეული 1700 ქალაქი და 70 ათასი სოფელი... უსახლეარიდ დარჩენილი 25 მილიონი მოქალაქე... 15 ათასი აფეთქებული ხიდი... 100 ათასი მიწასთან გასწორებული სკოლა და უმაღლესი სასწავლებელი... მილიონობით დაობებული ბავშვი, დაქვრივებული ცოლი, უპატრონოდ დარჩენილი მოხურებული... – აი, რა მოტტანა ამ საშინელმა ომბა საბჭოთა ქვეყანას, რომლის ერთ-ერთი უპირველესი საზრუნავი იმთავითვე, ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვებისთანავე, მშვიდობისათვის ბრძოლა იყო.

ომის პირველი დღეებიდანვე რევოლუციის მონაპოვართა დასაცავად აღდგა დიდი თუ ჟატარა, კაცი თუ ქალი, ჩვენი მრავალეროვანი სამშობლოს მილიონობით შვილი – რუსი თუ უკრაინელი, ქართველი თუ ლიტველი, უზენაც თუ თათარი, ოსი თუ მოლდაველი... ვისაც იარაღის ტარება შეეძლო, ფრონტს მიაშერა, სხვები დაზღასთან და გუთანთან დადგნენ. მთელი ქვეყანა ერთიან ორგანიზმს დაემსგავსა და ერთი საზრუნავით ცხოვრობდა – დაეცვა საკუთარი მიწა-წყალი, დაემარცხებინა მოძალადეთა ურდო.

ბრესტის, ოდესის, სევასტიოპოლის,

ლენინგრადის დამცველებმა სისხლი გაუშრეს მტერს...

სმოლენსკის, სტალინგრადის, კურსკ-ორიოლის, ლენინგრად-ნოვგორიდის ბრძოლებმა წელში გატიხეს დამპყრობთა არმია...

და აი, დადგა ნანატრი გამარჯვების დღეც – 1945 წლის 9 მაისი; დაეცა ჰიტლერელთა დედაქალაქი – ბერლინი; რაიხსტაგზე წითელი დროშა აფრიალდა.

მას შემდეგ აგრე უკვე თითქმის ოთხმა ათეულმა წელმა განვლო. უამრავი შრომა დასჭირდა დანგრეული, გაპარტახებული სახალხო მეურნეობის აღდგენას. ახლა ჩვენი სამშობლო ისეთი ძლიერი და მდიდარია, როგორიც არასდროს ყოფილა. დღეს, როგორც სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრმა, საბჭოთა კავშირის მარშალმა დ. უსტინოვმა თქვა, „საბჭოთა შეიარაღებული ძალების საბრძოლო მზადყოფნა მაღალ დონეზეა, და ნურავის შეეპარება ეჭვი, რომ საბჭოთა ხალხის მშვიდობიანი შრომა საიმედოდ არის დაცული“.

გაისად სრულდება დიდ სამამულო ომში ჩვენი სახელმოვანი გამარჯვების 40 წლისთვის.

უფროსი თაობის საბჭოთა ადამიანებს ჯერაც ახსოვთ ომი, მის მიერ გამოწვეული საშინელებანი; მაგრამ თქვენ, ბავშვები, მხოლოდ წიგნებით, კინოფილმებით ან ვეტერანთა მოვნებებით თუ იცით ომისდროინდელი ამბები. ეს ცოდნა ხშირად ზერებელ და ზედაპირულია. არადა, საჭირო საფუძვლიანი წარმოლენა გქონდეთ იმ ოთხწლიან ჯოჯოხეთზე, რათა, ჯერ ერთი, აიმაღლოთ ერუშიცია, მეორე, ჯეროვნდ შეაფასოთ თქვენი მამებისა და პაპების მიერ მოპოვებული გამარჯვება, პატივი მიაგოთ მათ მიერ დაღვრილ სისხლსა და ოფლს, და მესამე – იცოდეთ, რა განსაცდელს გვიმჩა-


დებს თანამედროვე იმპერიალიზმი, რომელიც გამაღებული შეიარაღების გზით მიაქანებს დღევანდელ მსოფლიოს.

სწორედ ამ მიზნით უურნალი „პიონერი“ აცხადებს ვიქტორინა-კონკურსს. იგი სამ ეტაპად ჩატარდება. პირველი ეტაპის კითხვები ქვეყნდება უურნალის ამ ნომერში (პასუხები უნდა გამოიგზავნოს 1 სექტემბრამდე). მეორე ეტაპის კითხვებს გაეცნობით მე-9 ნომერში (პასუხები უნდა გამოიგზავნოს 1985 წ. 1 იანვრამდე), ხოლო მესამე ეტაპისას – მომავალი წლის იანვრის ნომერში (პასუხები უნდა გამოიგზავნოს 1985 წლის 15 აპრილამდე). ვიქტორინის შედეგები 1985 წლის მაისის (მე-5) ნომერში გამოქვეყნდება.

რა თქმა უნდა, ყველა თქვენთაგანი ვერ მოახერხებს, ერთნაირად ამომწურავი პასუხი გასცეს კოველი ეტაპის ყველა კითხვას, მაგრამ რელაციისა და ვიქტორინა-კონკურსის უიურის მტკიცე რწმენით, გამარჯვებული იქნება ყველა მონაწილე, ვინც, გარდა სახელმძღვანელობისა, კიდევ სხვა წიგნებშიაც ჩაიხდავს, ომის მონაწილეებსაც გაესაუბრება და, ამის შედეგად, გარკვეულად გაიღრმავებს ცოდნას.

ვიქტორინაში მონაწილეობისათვის ვიწვევთ მხოლოდ მოსწავლეებს. პასუხები უნდა გამოიგზავნოთ უურნალ „პიონერის“ რედაქციის მისამართით. კონკვერტზე, მისამართის გარდა, წააწერთ: „ვიქტორინა-კონკურსი“. სამუშაო შესრულებული უნდა იყოს სუფთად, მკაფიო ხელით. ზუსტად უწევენთ თქვენი მისამართი, სკოლა, კლასი, გვარი, სახელი, მა-მის სახელი.

ვიქტორინა-კონკურსის გამარჯვებულებს მოვიწვევთ რედაქციაში. მათ გადაეცემათ საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის სიგელები და ფასიანი საჩუქრები.



# პირველი ცტაცის კიბევები

1. ომის პირველსაცე დღეებში გარდაიქმნა სახელმწიფო ორგანოები. ერთ-ერთი მათგანის ხელში თავი მოიყარა მთელმა ძალაუფლებამ. რა ერქვა ამ ორგანოს დავინ ედგა მას სათავეში ჩამოყალიბების დღიდან ომის დასასრულამდე?

2. ფოტოსურათებზე აღბეჭდილია ამ სიმღერის ფრაგმენტი და პლაკატის რეპროდუქცია, რომლებიც ომის პირველ დღეებშივე იქცა მოწოდებად სამშობლოს დასაცავად თავგანწირული ბრძოლისაკენ. ვინ არიან ამ სიმღერის ავტორები და როდის შესრულდა იგი პირველად? ვინ არის პლაკატის ავტორი?

3. რა იცით ამ ფოტოსურათზე „აღბეჭდილი“ ციხესიმაგრის შესახებ?

4. სამამულო ომის წლებში სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დააწესა რამდენიმე ორდენი. ერთი მათგანის რეპროდუქცია აქვეა მოცემული. გვიამდეთ მასზე.

5. მილიონობით საბჭოთა ადგინდია მოახმარა ფრონტს თავისი დანაზოგი. გვიამდეთ, რა წილი გაიღეს საქართველოს მშრომელებმა.


6. ომის წლებში სამშობლოს 11 603 დამცველს მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის საპატიო წოდება. რამდენი მებრძოლი წარგზავნა საქართველომ ბრძოლის ველზე? მათგან რამდენმა დაიმსახურა უმაღლესი ჯილდო — საბჭოთა კავშირის გმირის წოდება?

7. რა იცით სახელგანთქმულ „კატიუშაზე“? როგორია მისი მოქმედების პრინციპი? როდის და სად გამოიყენეს იგი პირველად? გვიამდეთ ამ ბრძოლაზე.

8. ფოტოზე აღბეჭდილია ცნობილი ქართველი შედართმთავარი. რა იცით მის შესახებ?

9. ომის წლებში მამულს იცავდა დიდი და პატარა. გვიამდეთ იმ ნორჩ პიონერებზე, რომლებმაც საბჭოთა კავშირის გმირის წოდება დაიმსახურება.

10. ომშა აღმართ არც თქვენს ოჯახს აუარა გვერდი. რა იცით ომის მონაწილე თქვენს ახლობლებზე? სად იბრძონენ, რა გადახდათ თავს, რა ჭილდოები დაიმსახურეს? მოგვწერეთ მათზე. საინტერესო პასუხებს გამოვაკვეუნებთ.





— ამ, ასე უნდა გასხლათ და გააჩაროთ ნიჩბი, — ამშობს მიხო კაპა.

60 ცენტ  
ლაგილის  
სახაჭით

# პირზო ვაჰას ტყე

ვლადიმერ  
ასლამაზიაშვილი

ე. ნილაშილიანი  
ფოტო

**ს**ოფელი დაბლა დარჩა. მთის ფერობს მივუყვებით, მე და ოქათტეტ-თორმეტი წლის ბიჭი. საქონლის გაკვალულ ბილიკზე ის წინ მიდის, მე — უკან, და გვერდს ძლივს ვუქცევთ ძექვისა და მაყვლის ექლიან ტოტებს.

— აგერ, მიხო პაპას ტყე! — ბიჭი ფერდობზე შეფენილ, ძექვით შემოლობილ კვირტდასკდარ ხეებზე მითითებს. მივედით, ღობის იქით გაღავინედეთ. კარგა დიდ ფართობზე რაღა არ სარიბოს: ცაცხვი, თელა, კაკალი, თხილი; აგერ — ბროწეული და შინდი... ღობის ძირას კვირტებგადათეთრებული ტყემლები იწონებენ თავს, საკაა ბამბასავით გადაიპენტებიან, აქა-იქ ახლად ჩაყრილი ნერგებიც ჩანს, ყველაფერ ამას კი ადამიანის მზრუნველი ხელი ატყვია.

— მე ჯერ დაბადებულიც არ ვყოფილვარ, მიხო პაპას მძ ტყის გაშენება რომ დაუწყია. აქ, იცით, რამდენი ხე დგას? რვასზე მეტი! კენკროვანი ბუჩქები კიდევ სხვაა, — ამბობს ბიჭი ჩემს გასაგონად და ისიც კისერწაგრძელებული იხედება ღობის შიგნით.

ტყე, რომელიც ბიჭმა მიჩვენა, სიღნაღის რაიონის სოფელ ვაჭირის მკვიდრს, პენსიონერ მასწავლებელ მიხეილ ნადაშვილს გაუშენებია და

აკი დიდ-პატარაც „მიხო პაპას ტყეს“ ეძახის. გამშენაო, სათქმელად იოლია, არადა, თურმე რამდენი შრომა გასწია, რამდენს მუშაობს ახლაც, რომ ტყემ გაიხაროს, სხვადასხვა ჭიშის ხეც დაემატოს.

— ამ ადგილს თურმე სულ ძეძვი, მაყვალი და ნარი იდგა, ძია, — განაგრძობს ბიჭი, — იგეთი ყოფილა, კაცი ვერ შევიღოდა. მარტო ნეკერზე გაწუწებული თხები და იმათი წამხედური ცხვრები დაძვრებოდნენ შიგ. ადგა თურმე ერთ დღეს მიხო პაპა, აიღო ფიწვალი და წალდი, ამოვიდა აქ და სულ ლიწინ-ლიწინი აუყენა აქაურობას. პაპაჩემი ამბობს, როგორც დალაპი გადაპარსავს კაცს თავს, ისე მოასუფთავა მიხომ ფერდობი, მერე ორმოები დათხარა და ნერგები ჩაყარაო.

არავის ეგონა, რომ იქ ხე გაიხარებდა. ვაქირელები ფიქრიბლნენ, ფუჭად ჩაუვლიდა შრომა მიხოს. მაგრამ აი, ნერგებმა პირველი კვირტი გამოიტანეს და მწვანედ შეიფოთლნენ...

— ამას წინათ, ძია, მიხო პაპა სკოლაში მივიწვიეთ პიონერებმა, შეხვედრა მოვუწყეთ. თვითონ ვეტერანი პიონერია, დიდ სამამულო ომშიც მონაწილეობდა. აი, ისე პირდაღებულები ვუსმენდით, იმისთანა რამეები

გვიამბო. ნეტავ დღეს შინ ყოფილიყო, თვითონ წამოგყვებოდათ აქა და წარსულის ამბებსაც გაიხსენებდა.

— შენ ვერაფერს გაიხსენებ, რასაც მიხო პაპა ყვებოდა? — ვკითხე იმ ბიჭს.

— როგორ არა, მეც და ჩემს ამხანაგებსაც ჩანაწერები გვაქვს!

მართალია, იმ დღეს მიხეილ ნაღაშვილი ვერა გნახე, სიღნაღის სატყეო მეურნეობაში ნერგებისათვის წასულიყო, მაგრამ, სამაგიეროდ, ვაჭირის საშუალო სკოლის პიონერებმა მიამბეს ბევრი რამ.

ათი წლისა იყო მიხო პაპა, მამა რომ მოუკვდა. დედა ავადმყოფობდა. რა უნდა ექნათ მას და ერთოორი წლით მასზე უფროს ძმას? შეგირდებად დაუღვნენ სოფლის ბობოლებს, მიხო ვაჭარ მარტია ათაბეგვთან მოხვდა.

ქვაწვია და ბურაძვირი იყო მარტია. პატარა მიხის დილიდან საღამომდე ამუშავებდა, ხან წყალს აზიდვინებდა, ხან ბოსელს ახვეტინებდა... სანაცვლოდ საძლომად პურიც არ ემეტებოდა.

ერთხელ შვილის სანახავად მისულმა დედამ მიხოს ორი თავი ახალი ნიორი მიუტანა, პურს შეატანეო. დაინახა მარტიამ, ბიჭი პურს რომ

ნიორს ატანდა და წართვა, თან კი-  
სერში წაუთაქა, მამა გიცხონდა, ისე  
ხომ არა გაქვს მადა, ახლა ნივრით  
მიირთვი, რომ ბევრი პური შეჭამო.

ეს ის დროა, როცა საქართველო-  
ში საბჭოთა ხელისუფლება ის-ის  
იყო დამყარდა. კახეთის სოფლებში  
პირველი პიონერული ორგანიზაცი-  
ები იქმნებოდა. ვაქეთში პიონერული  
ორგანიზაცია 1924 წელს ჩამოყალ-  
იბდა სოფლის კომკავშირული უჯრე-  
დის თაოსნობით და სერგო ორგო-  
ნიერის სახელი მიეცუთვნა.

იმავე წელს ვაქირელმა პიონერე-  
ბმა ბარათი გაუგზავნეს სერგო ორ-  
გონიერების, სწერდნენ, ჩვენს სოფე-  
ლში პიონერული ორგანიზაცია დაა-  
სდა, თქვენი სახელობისაა, და  
პირობას აძლევდნენ. პარტიასა და  
კომკავშირს არ შევარცხვენთ.

მალე პასუხიც მოვდეთ. ვაქირელმა  
პიონერებმა სერგო ორგონიერებისაგან  
საჩუქრად წითელი დროშა, საყვირი  
და დოლი მიიღეს.

ერთი დღეც არის, და, საყვირისა  
და დოლის დაკვრით პიონერთა მთე-  
ლი რაზმი ვაჭირ მარტია ათაბეგოვის  
სახლს მიადგა და მიხო წამოიყვანეს.

— წიყვათ, შინშილით კუჭი  
რომ გაუხმება, მერე ამისხენებს, —  
იღრინებოდა განაწყვებული მარ-  
ტია.

მაგრამ მიხო შიმშილით არ მომ-  
ვდარა. პირიქით, სოფლის გლეხომ-  
მა უფასოდ მისცა ტანსაცმელი, ფე-  
ხსაცმელი, წიგნები და ხუთი ფუთი

ხორბალი. გაიხარა მიხოს ავადმყო-  
ფმა დედამ. მან და მისმა შვილებმა  
დაინახეს, რომ საბჭოთა ხელისუფ-  
ლება ღარიბების ქომაგი და მზრუნ-  
ველი, ბავშვებისათვის ბეღნიერი  
ცხოვრების მომტანი იყო.

1927 წელს მიხეილ ნადაშვილი  
კომკავშირში მიიღეს. იმავე წელს  
კომკავშირის უჯრედმა მას, როგორც  
მოწინავე, უნარიან ახალგაზრდას,  
სერგო ორგონიერის სახელობის პი-  
ონერული კოლექტივის ხელმძღვა-  
ნელობა დაავალა.

ამ დროს პირველი კოლმეურნეო-  
ბა შეიქმნა. ამან გააბოროტა ბობო-  
ლები, ხალხის მტრები, ისინი საბ-  
ჭოთა ხელისუფლებას პურს უმა-  
ლავდნენ. ამიტომ ბევრი შიმშილო-  
ბდა.

ვაქირის პარტიულმა უჯრედმა  
გადაწყვიტა, პურის შეგროვება პი-  
ონერებისთვისაც დაევალებინა. ყმა-  
წვილები ხალისით შეუდგნენ საქ-  
მეს. იშოვეს ცხენი და ორთვალა,  
ჭალებზე, აქეთა-იქიდან, წითელ ქსო-  
ვილზე დაწერილი ლოზუნები გა-  
აკრეს. „მუშათა კლასის საქმისათვის  
საბრძოლველად იყავ მზად!“, „პუ-  
რისათვის ბრძოლა სოციალიზმისა-  
თვის ბრძოლაა“. საყვირისა და დო-  
ლის დაკვრით, სიმღერით დადიოდ-  
ნენ პიონერები სოფელში, რომ ნება-  
კოფლობით შეეგროვებინათ ხორ-  
ბალი.

დოლისა და საყვირის სმაზე უბან-  
უბან გამოდიოდნენ გლეხები და

მოჰკონდათ 2-3 ფუთი, ზოგს უფრო  
მეტი ხორბალი და ორთვალისუფლება  
რებში ყრილნენ. გვიპირთვე

1927 წლის ზაფხულში ვაქირელმა  
პიონერებმა 3 ტონა ხორბალი შეაგ-  
როვეს, რისთვისაც პარტიულმა უჯ-  
რედმა მათ ღია პარტიულ კრებაზე  
მაღლობა გამოუცხადა. იმ სამი ტო-  
ნით არ დამთავრებულა პურის შეგ-  
როვება, 1928 წელს შეაგროვეს 3,5  
ტონა, ხოლო 1929 წელს — ოთხ  
ტონაზე მეტი. გარდა ამისა, ორგო-  
ნიერის სახელობის პიონერულმა  
ორგანიზაციამ, რომელსაც უნარია-  
ნად ხელმძღვანელობდა კომკავშირე-  
ლი მ. ნადაშვილი, უტილნედლეუ-  
ლისათვის 2 ტონაზე მეტი ცხოვე-  
ლის ძვალი შეაგროვა. პიონერები  
ეხმარებოდნენ ხელმოკლე ოჯახებს  
ვენახებისა და ბოსტნების დამუშა-  
ვებაში, წერა-კითხვა შეასწავლეს  
25 გლეხს, უწერდნენ მათ უურნალ-  
გაზეთებს, ავრცელებდნენ იბლიგა-  
ციებს, სკოლაში ორ კვირაში ერთ-  
ხელ უშვებდნენ კედლის გაზეთს  
„პიონერის ხმას“. ხალხის მტრები  
არ ცხრებოდნენ, ათასგარ ჭორს აფ-  
რცელებდნენ, რომ გაეტეხათ საბჭო-  
თა ხელისუფლების სახელი.

იცით, იმ დროს ვაქირში როგორი  
ჭორი გავრცელდა? ვითომ საბჭოთა  
ქვეყანას უცხოეთის დიდი ვალი  
ჰქონდა. ჰორა, იქიდან ბურუუებმა  
შემოთვალეს, თუ ოქრო არ გაგან-  
ინია, მაშინ ვალში 5 მილიონი ბავშ-  
ვი გამოგვიგზავნეთ, თუ არა და ჰა.



ვაკირელი  
პიონერები  
ახალი  
სკოლის  
მუნიციპალიტეტი.



მოვდივართო. იმასაც ამბობდნენ, წნორში ოკინიგზაზე ბავშვების წა-საუგანად ვაგონები ჩამომდგარა.

ერთ დღეს თურმე, როცა სკოლაში პიონერებს შეერება ჰქონდათ, გარედან ხალხის ხმა გაიგონეს, გადაიხედეს ფანჯარაში და რას ხედავენ: მათ მშობლებს ფიწლები, კეტები და თოხები მოუმარჯვებიათ და მოდიან. ყველამ თავ-თავის შვილს ჩავლო ხელი და შინ წაიყვანა. კომუნისტიკურებს დიდი მეცადინეობა დასჭირდათ, რომ ყმაწვილები სკოლაში დაებრუნებინათ და ხალხი დაერწმუნებინათ, რომ, რაც გაიგეს, მტრენარი სიცრუეა, საბჭოთა ქვეყნის მტრების მონაჭორია. ამ ამბავს, მიხეილ ნადაშვილის გარდა, დღესაც ხალისით ყვებიან ვეტერანი პიონერები — ივანე შოშიაშვილი, ალექსანდრე ნადაშვილი, ნინა ხატიაშვილი, ეთერ გოძიაშვილი, ბაბულია, მანია და სიმონ ერიაშვილები და სხვები.

1934 წელს მიხეილ ნადაშვილი წითელ არმიაში გაიწვიეს, მე-5 ლეგიონში ჩარიცხეს. მას ისე უყვარდა ბავშვები და პიონერული მუშაობა, რომ გადაწყვიტა, ლეგიონის მეთაურთა ბავშვებისაგან პიონერთა და ოქტომბრელთა რაზმები ჩამოყალიბდნა, რათა ბავშვებს გაკვეთილების შემდეგ უქმად არ გაეფლანგათ დრო. ლეგიონის პარტიულმა ორგანიზაციამ მიხეილს განზრახვა მოუწონა. კომუნისტის რაიკომიდან მან საჭირო რჩევა-დარიგება მიიღო, თვითონაც ხომ ჰქონდა ვაჭირელ პიონერებთან მუშაობის ცოტაოდენი გამოცდილება

და, მართლაც, შეიქმნა ასეთი რაზმები. აი, რას წერს გაზეთ „წითელ-არმიელის“ 1936 წლის 8 აპრილის ნომერში ლეგიონის პარტბიუროს მდივანი ხ. ბულია: „ლეგიონში საუკეთესოდ არის აგრეთვე დაყენებული მუშაობა სასკოლო ასაკის ბავშვებთან. მათ ხელმილვანელად გამოყიდია კომუნისტიკურები ამხ. მ. ნადაშვილი და დამხმარედ — ართინოვი, რომელთა ინიციატივით ჩამოყალიბდა სიმებიანი ორკესტრი. საჭადრაკო, ფიზიკულტურისა და სხვა შრეები. ბავშვები სისტემატურად უშვებენ აგრეთვე გაზეთს „პიონერის ხმას“.

პიონერორგანიზაციაში ჯერჯერობით გაერთიანებულია 35 ბავშვი“.

დიდ სამამულო ომში მოხალისედ ჭავიდა მიხეილი. იბრძოდა უკრაინისა და ყირიმის ფრონტებზე. მძიმედ დაიჭრა, ნაიარევი ჩამოვიდა სოფელში, დაამთავრა პედაგოგიური ინსტიტუტი, ბავშვებს ისტორიას ასწავლიდა. ახლა პენისონერია. შინუქმად ხომ არ იჯდება, ხან ვენაშია — ვაზს უვლის, ხანაც მთის ფერდობზე აკლაკნილ ბილიკს აუყვება, მივა თავისი ხელით დარგულ გახარებულ ტყეში და ზრდულებით თვალიერებს ხეებს, ყურადღებით აკვირდება ახლადშემატებულ ნერგებს, „ხომ არაფერი ვიჭიროთ“, — გაესუბრება, მოეფერება მათ.

ორიოდე წლის წინ გაზეთ „სოფლის ცხოვრებაში“ მიხო პაპაზე ნარკვევი დაიბეჭდა, სათაურით — „ვაჭირელი მინდია“. ბევრი წერილი მიიღო მაშინ მიხო პაპაშ ჩვენი რესპუბლიკის სხვადასხვა კუთხიდან.

„გახარებული ვარ თქვენი სუსტყოფი ბით“, — წერდა აკალემული მუხა კეცხოველი.

შარმანდელი ზაფხულის გვალვაში მიხო პაპას ტყეში ნერგებს გაუჭირდათ, მალე ფოთლები შეაჭერებოდათ კიდეც ორიოდე ვედრო წყალი კი იტანა ფერდობზე და ნერგებს დაუსხა, მაგრამ რას ეყოფოდათ. ისევ წყალს თხოულობდნენ, წყალი ენატრებოდათ. რა გიშველოთო, — დარღობდა მიხო პაპა. ერთ დღეს დილით ავიდა თავის ტყეში, თან ერთი ვედრო წყალიც წაიღო. დახედა ნერგებს და თვალებს არ უჭერის, ყველა ნერგს ძირი დაუივებული აქვს, ფოთლები სულ მწვანედ ხასხასებენ და ნიავის წამობერვისთანავე სამოდ შრიალებენ. ვიღაცას წყალი დაესხა ნერგებისათვის.

— ეეთილ ჩილხს რა გამოლევს ამ ქვეყანაზე, დაგულოცოს მარჯვენა, — ლოცავდა მიხო პაპა და ვერ გამოეცნო, ვინ იყო, ეს სიკეთე რომ მოიმოქმედა, ნერგებს მაცოცხლებელი წყალი აჩუქა, მას კი — სიხარული. გუმანით კი ხვდებოდა, რომ ეს ვაჭირელმა ამშურელებმა გააკეთეს.

მთის იმ ფერდობიდან, სადაც მიხო პაპას ტყეო გაშენებული, ხელისგულივით მოხანს სოფელი გაქირი. იმდენ შენობებს შორის სიღიღითა და ფორმით აღვილად გმოარჩევთ სკოლას. დღეს ეს სკოლა იქაურ ბავშვებს აღარ ყოფნით, რადგან სოფლის მოსახლეობა ძალიან გაიზარდა. შენობაც მოძველდა. მის გადაღმა, ფართო აღვილზე ახალი სკოლის შენებლობად დაწყებული. ამწეს სპილოს პორტუმივით მაღლა უშვერია ისაუ, ყოველდღე მაღლება კედლება.

ახალ სკოლის დიდი ეზოც ექნება. როცა პიონერ-მოსწავლეები ეზოს გამწვანებას დააპირებენ, მიხო პაპა თავის ტყეში მომრავლებულ ხის ნერგებს საჩუქრად ჩიტანს, რომ იქაც გახარის ტყე. ასე აქვს გულში ჩატქმული. მიზეზი კი თქვენც კარგად მოგეცნებათ, — სიკეთის ქმნა ისეთი ჟალია, კაცმა სიკეთით უნდა გარიახოსოს.





# მარტინ ჭავჭავაძე

ბეჭლარ წოზაძე

ხახუარი  
ჯაშრ დეისაძე

თ თ ხ რ ა ბ

1

დიდი, მზისოდენა მზესუმზირა იდგა ბაღის შუაგულში. პირდაპირ კიტრის ბარდებში ამოზიდულიყო მძლავრად. იდგა, გული მოელედა და ჩვილის უღრუბლო სიცილით უცინოდა თაკარა მზეს. ლამაზი, კუწუბუწუბა, ყვითელი ყვავილების არშია გასძევდა გულისპირზე. მიჯრით ჩაწყობილ კიჭებს ყვითელივე ბუსუსები უფარავდა. ისეთი დერო ჰქონდა, ხელნად გამოდგებოდა. მწვანე, ხასხასა ფოთლების ქვეშ შვლის ნუკრი შეაფარებდა თავს. იდგა და ამაყად შესცეკროდა მზეს, თითქოს გულში ეუბნებოდა: „მოდი, დამეტოლე, ვნახოთ, ვინ უფრო გულიანი სიცილი იცისო“.

ეს დიდედა მელანოს ბაღი იყო, საგულდაგულოდ მოვლილი და დავარცხნილი; ერბო აიკრიფებოდა მიწაზე. ერთ მხარეს, ღობის გასწვრივ, თავგადაკვერცხილი ალუბლები ჩარიგებულიყვნენ, მეორე მხარეს – ღორქლიავები და ღოღნოშოები.

ბაღის ბოლოში კომშებს ჩამოეშვათ მძიმე კალთები. მათ შორის ჭროლა თუთას ამოეყო თავი.

დიდედა მელანო მარტოხელა ქალი იყო, ერთი შეილიშვილი ჰყავდა, ვასიკო. და ისიც რომელიღაც ფრონტზე მტერს ებრძოდა. ყოველი გოჯი იცოდა თავისი ბაღისა დიდედა მელანომ, ყოველი ბუჩქი. ისიც კი ახსოვდა, რამდენი კომში ესხა ჩამორონბილ ხეებს. სხვა ასეთი ბაღი ნამდვილად არ იყო ჩვენს უბანში. კალოს მსხლიდან მოყოლებული, გვიან შემოდგომამდე ღვთის თვალი ტრიალებდა ბაღში. შორს როდი მიდიოდა მოხუცი, იქვე, სახლის წინ დააწყობდა ხოლმე ხახალზე ვაშლებივით მკვრივ პამიდვრებს, გარშემო ოხრახუშსა და ქონდარს მოუწყობდა, ქორფა კიტრებს პეშვით წყაროს წყალს დააპეტრებდა და თავისით მოდიოდა მუშტარი. აწონილ ბოსტნეულს ან სილს ზედმეტს დააწონიდა – ესეც ვასიკოს წილიო... ცალი თვალი დავსებული ჰქონდა დიდედა მელანოს, მაგრამ მეორე თვალით მთელ ქვეყანას ხედავდა. ოთარაანთ ქვრივივით გულიანი და ჩამოქნილი წყევლიანი სიტყვა იცოდა, გული კი ოქროსი ჰქონდა. ჩვენც, მაინცდამანც, დიდედა მელანოს ბაღში უნდა გადაგპარულიყავით და სასუსნავისათვის გაგვეკრა კბილი. ადვილი როდი იყო, გაქცეოდი მის ერთადერთ თვალს. პირდაპირ მიწიდან ამოძვრებოდა, ჩიტებივით დაგვაფრთხობდა და მერე სახლში მოგვადგებოდა დაგლეჯილი ბარდებით ხელში. რომელი ქადაგი აჯობებდა! ან ვინ გააჩერებდა! „შენ არ დაგიტიროს დედაშენმა, მწვანევ, შენ დაგივინანდეს შემოდგომა, ბოთევ, ენა დაგიმოკლდეს, ყბაამოტეხილო ქიმსავ! ღმერთო, რა დაგიშავე, რომ ამათ ხელში ჩამაგდე, ჲა? მამები მაინც ჰყავდეთ სახლში! ამათგან კაცები გამოვა? თქვენი კუბო დაგიდგი ასი წლის შემდეგ, აჲა!“

არ გვწყინდა. ვიცოდით, გულში არ ვემეტებოდით. რას იზამ, ისეთი კიტრი და ქაშა პამიდორი სხვაგან რომ არ იზრდებოდა? ახლა ღორქლიავა და კალოს მსხალი? მიწავალა? სხვა გემოცა ჰქონდა, ღმერთმანი!

დედაჩემს ტირილი მოერეოდა ხოლმე და თუ მომიხელთებდა კანკების აწვას სად გავეცეოდი? ტერო დღეს კი ყველაფერი გვავიწყდებოდა, დედამიწა ისევ ბრუნავდა და დიდედა მელანოს ბაღიც მუდამ თავის ადგილას გვხვდებოდა.

ბოლო უამს ამ მზესუმზირას დავადგით თვალი. უბრალო მზესუმზირა როდი იყო, ურმის თვალს შეეტოლებოდა. მაგრამ ძნელი იყო ძეგვის ღობის გარღვევა. გამხმარი ეკლები მავთულებივით გახვევებულიყვნენ. რამდენჯერ შერჩენია ამ ძეგვის ეკლებს ჩვენი მაისურის ნაფხრეწები...

დიდედა მელანოს თავისი ლექსიკონი ჰქონდა. შოთას ბოთეს ეძახდა, მე – მწვანეს, ხოლო ავთოს – ქიმსას; ასედაც გვცნობდნენ უბანში: მწვანე მოღის, ბოთემ პური ვერ აიღო, ქიმსამ ხბორები დაკარგაო.

ახალმოყვინჩილებული ვიყავით სამივენი.

2

ჩვენს სახლსა და თეატრის ბაღს ერთმანეთისაგან ვოროშილოვის ქუჩა ჰყოფდა. აი, ახლაც ბაღში ვისხედით და მზესუმზირას მოპარვის გეგმას ვაწყობდით. შოთა ორი წლით უფროსი იყო, მეშვიდე კლასში სწავლობდა. ქვეყანაზე არაფერი ახსოვდა პურის მეტი. თვითმფრინავი რომ გადაიფრენდა, კისერს მოიღრეცდა და საზარელი ხმით შებღავლებდა, პური ჩამოყარეო... ერთხელაც თვითმფრინავმა პურის ნაცვლად ბომბი ჩამოაგდო და ლიახვის მარჯვენა ნაპირას სახლისოდენა ორმო ამოიღო. მაშინ კი იყადრა შოთამ მტრისა და მოყვრის გარჩევა.

აკაციის შემჭინარი ფოთლები მზის სხივებს ვეღარ აკავებდნენ. შოთა ფეხმორთხმით იჯდა. წელზე შურდული ეკიდა, ჯიბები კენჭებით ჰქონდა სავსე. ღორის ჯაგარივით აშლილი თმა სულ ყალყზე ჰქონდა შემდგარი, გაბრაზებულ ზღარბსაც კი შეშურდებოდა მისი...

– მე ღობეს გავარღვევ, – გადმოგვილაგა თავისი ვეგმა ბოთემ. – ქიმსა ღობეში გაძვრება, მზესუმზირას ძირს დააწვენს და თავს მოუგრებს, აი ისე, ავტომობილის საჭეს 13



რომ მოღრიჯავენ ხოლმე. გასაგებია?

გასაგები იყო, რადგან ხელების მოძრაობით გვიჩვენა ყველაფერი.

— რომ არ მოტყდეს? — დაეჭვდა ქიმსა.

— მოტყდება... რკინისა ხომ არ არის? მოტყდება, ნუ გეშინია, — დაამშვიდა ბოთემ.

— მერე, მწვანე? — მე მომაჩირდა ქიმსა.

— მწვანე დიდედა მელანოს დაზერავს... ატანდაზე იქნება.

„ატანდა“ სიგნალის მიცემას, გაფრთხილებას გულისხმობდა საშიშროების შემთხვევაში.

— შენ? — უკან არ იხევდა ქიმსა.

— მე ღობეს გავარღვევ, გეგმაც მე შევადგინე... ესეც არ იყოს, შენი ამბავი რომ ვიცი, დიდედა მელანო რომ გამოჩნდეს, ვინ უნდა გამოგაძროს გარღვეული ღობიდან?

— მწვანეც გამომყევს, — წკმუტუნებდა ქიმსა, — კიტრის ბარდებში ვერ გამოარჩევს!

— მწვანეს ეს უბირატესობა ხშირად გამოგვიყენებია... ამას წინათ

ვინ მოთხარა დიანოზას მიწავაშლები? — მწვანემ. ატანდაზე ვინ იყო? ქიმსა. ახლა მწვანე იქნება ატანდაზე.

— მეშინია, — ქვედა ბაგე ჩამოუკარდა ქიმსას.

— რისი გეშინია? — გაბრაზდა ბოიე და ჯაგარი უფრო აეშალა. — მწვანეს იღბალი რომ ვიცი, მაინც მაგას დაბრალდება... მწვანე კი დაიფიცებს, ყველას ამოიწყვეტს, რომ არ მოუწყვეტია, მამასაც დაიფიცებს!

მამის ხსენებაზე შევკრთი.

— მამას არ დავიფიცებ... მამა ქერჩშია!

— დაიფიცებ. რა გენალვლება, შენ ხომ არ უნდა მოტეხო? — გაიკვირვა შოთამ.

— მამას არ დავიფიცებ! — ვთქვი და წამოვდექი.

— ბიჭო, — მომიბრუნდა შოთა. — შენ ხომ ხარ პიონერი?

— პიონერობა რა შუაშია?

— შუაში კი არა, თავშია. პიონერებს არა სწავლა ფიცი... დაიფიცე, რა გენალვლება! ესეც არ იყოს, გულში სამჯერ თქვი: „კიჭი-კიჭი, ქვა და რკინა“. ამის შემდეგ ფიცს ძალა აღარა აქვს!

— მამას არ დავიფიცებ! — გადავუწურე წყალი.

— მაშ, გაგვთქვამ?

— არ გაგვთქვამ!

— სიტყვა?

— მომიცია სიტყვა!

— ჯანდაბას შენი თავი, მწვანევ! — ხელი ჩაიქნია შოთამ. — ნუ დაიფიცებ.

აკაციაზე ბელურები შემოსხდნენ. ბოთებ შურდული შეიხსნა და ჯიბიდან კენჭი ამოიღო. გვანიშნა, არ გაინძრეთო და მიწაზე გახოხდა. ერთი წუთის შემდეგ მკერდგაგლეჯილ ბელურას სულს უძერავდა ბოთე.

— დედა ბელურაა, — დაასკვნა ბოლოს.

— იქნებ ბარტყები ჰყავდა, ჲა? — ხმა აუთროთოლდა ქიმსას.

— ბრიყვო, ბარტყები უკვე დააფრინებს!.. ახლა საქმეს მივხედოთ! — რიყის ქვასავით მოვგიგდო ბოთემ როყიო სიტყვა და სისხლიანი ბელურა უბეში ჩაიგდო.

ჯერ ჯუბოს ბალში უწყებულებები დღიუვით, რომ დიდედა მელანოს ბალის ღობეს მივდგომოდით. ჯუბო ერთი კეთილი და მიამიტი ბიჭი იყო, ჩვენი მეზობელი. მეოთხე კლასში სწავლობდა. დღედაღამ ხან ცარცი ეჭირა ხელში, ხან ნახშირი და ხატავდა. კედლები და ასფალტი აჭრელებული იყო მისი ნახატებით, უფრო ხშირად ცეცხლმოკიდებულ გერმანულ თვითმფრინავებს ხატავდა, უკან რომ ჩვენი წითელვარსკვლავიანი გამანადგურებელი მისდევდა. ვარსკვლავს ყველთვის აგურით ხატავდა. მეზობლისაში კი არა, თავის ბალშიც არ შედიოდა... მხოლოდ ერთხელ გავაბრიყეოთ და კალოს მსხალზე ავაგზავნეთ. იჯდა ჯუბო და გათხუნებული თითებით მადინად იყიდიჩებოდა. დედამისი, დეიდა მარგალიტა დავლანდეთ. ხვლიკებივით გავძვერით, ჯუბო ხეზე მივატოვეთ. მერელა გაიგო ჯუბომ, რომ საკუთარ მსხალზე ასულიყო...

ჯუბოს მამაც ფრონტზე იყო. დედა სოფელში დადიოდა ხშირად. ბალი მოვდებული ჰქონდათ. იოლად მივწი-მოვწიეთ გააფრაკებული მესერი და სათითაოდ შევვერით. კალოს მსხალი მოთავებული გვქონდა — კვირტში გამოვჭამეთ. ბალში დიდი და მაღალი ცოცხები იზრდებოდა, ისა, ეზოს ცოცხს რომ უძახიან. ცხენიანი კაცი დაიკარგებოდა. ხოხვით მივცოცდით დიდედა მელანოს ღობესთან. შოთამ ადგილი შეარჩია და ღობეს დაუწყო გამორღვევა. ვერანაა ძეძვის ეკალი. სულს გაგიმწარებს; რის გაი-ვაგლახით მივწი-მოვწიეთ დაყანდებული ძეძვის ძირები და ხვრელი გავაკეთეთ. ბაჭია თუ გაძვრებოდა გაჭირვებით.

— აქ ვერ გავეტევი, — თვალები გაუფართოვდა ავთოს.

— შტერო, აქ ხდო გაეტევა და შენ რა გამიხდი? — იწყინა შოთამ.

ცოტაც მივწი-მოვწიეთ ძეძვის ღეროები და ეკლები შევაცალეთ, თუმცა ხელებიც დავისისხლიანეთ. სიწყნარე იყო ირგვლივ. ხვატი იდგა. დიდედა მელანო ბალში არ ჩანდა. ცოტა მანძილი გვრჩებოდა მეტიჩარა მზესუმზირამდე. ის კი იდგა ყინჩად

და უცინოდა მზეს. პამიდვრებიც ჩა-  
ქაშულიყვნენ, კიტრის ბარდებს  
ფოთლები მოშვებოდათ.

— არ გავძვრები, — გაჯიუტდა ა-  
თო. — ჯერ მწვანემ დაზეროს.

— ხომ ხედავ, ბალში არავინა! რი-  
სი გეშინა? მე აქ არა ვარ? — დაა-  
იმედა შოთამ.

— არა, შვილოსან! ჯერაც არ ამო-  
მძვრალა მიწიდან დიდედა მელანო!

— არ ტყდებოდა ავთო.

მეტი გზა არ იყო. უკან გამოვხო-  
დი და მესერში გავძვერი. საბავშვო  
ბაღს შემოვუარე და ქუჩაში გამოვე-  
დი. აქ ვოროშილოვის ქუჩას ჩვენი  
რვაბინიანი. ერთსართულიანი სახლი  
გასძევდა. მელანო დიდედა პირველ  
სადარბაზოში ცხოვრობდა. კაცის  
ჭაჭანება არ ჩანდა. ქუჩაზე ურემმა  
ჩამოუხვია. ვიცანი ხარებიცა და  
ურემიც. პამიდვრით სავსე ყუთები  
ედო, საკონსერვო ქარხანაში მიპჟო-  
ნდათ. კოფოზე ქვის კაცი იჯდა იფ-  
ნის სახრით. ეს სახელი ჩვენ შევარ-  
ქვით მეურმეს. ერთ დამპალ პამი-  
დორსაც ვერ მოპარავდი, ქორის  
თვალი ჰქონდა. ვითომც ვერ დამი-  
ნახა ქვის კაცმა! წინ იხედებოდა, მა-  
გრამ კარგად მხედავდა. ხარებმაც კი  
შემომხედეს. უშმურმა დამიარა ტან-  
ში და ბეჭები ამეწვა...

სადარბაზოში შევიპარე და კიბეზე  
ჩამოვჯექი: ჩამიჩუმი არ ისმოდა-  
ეძიხა? ავად იყო? გვერდით ექიმი  
ცხოვრობდა. იმათი კარებიც გამოვა-  
ტილი იყო. გასაღების ჭუჭრუტანაში  
უნდა შემეხედნა. თუ გასაღები ვპ-  
თა, მაშ. დიდედა მელანოც შინ იყო.  
მუხლისინება დავდექი და უცებ ცხვი-  
რი ქაღალდს დავადე... მონჯღრეულ  
სახელურში შავი ქაღალდი გაეჩი-  
რათ. ვიცანი, დეპეშა იყო. უკვე ვი-  
ციდი ამ შავი ქაღალდის ფასი! სა-  
სიკეთო რომ ყოფილიყო, აქ არავინ  
დატოვებდა! მაგრამ იქნებ დიდედა  
მელანო შინ არ დაუხვდათ? ვინ  
იცის!.. დეპეშა ფრთხილად გამოვაძ-  
ვრე და უბეში ჩავიდე. ფეხაკრეცით  
გამოვედი სადარბაზოდან და თეატ-  
რის ბაღში გადავძვერი. ბებერი და  
ფუტურო ცაცხვის ძირში მოვითქმი  
სული. ერთი ურიამშული ჰქონდათ  
ბელურებს. დეპეშა ამოვიდე და გავ-  
შალე. ბატიბუტივით ხტუნაობდნენ

რუსული ასოები და ვერაფერი ამო-  
ვიკითხე... ისევ უბეში ჩავიდე ყორ-  
ნის ბოლო და ჯუბოს ბაღს მივაშუ-  
რე. ბიჭები ცოცხებში განაბულიყ-  
ვნენ.

— სად იყავი ამდენ ხანს? — შემო-  
მილრინა შოთამ და ერთი წამითაქა.

— სახლშია? — შუბლი შეიკრა  
ავთომ.

— არ ვიცი... კარებში ეს დეპეშა  
იყო გაჩრილი... — უბიდან შავი ქა-  
ღალდი ამოვილე. შოთამ დეპეშა გა-  
მომართვა, გამალა და ჩუმად წაი-  
კითხა: ვასილი გეორგიევიჩ ოკ-  
როპირიძე გეორგესკი პალ პილ  
კერძო...

— რა წერია? — იკითხა ავთომ.  
შოთამ დეპეშა მოჭმუჭნა.

— ვასიკო დაღუპულა ქერჩთან!..

ტუჩები გავგილურჯდა, დაემუჯ-  
დით. ბოლოს ისევ შოთამ მოიკრიბა  
ძალა:

— გავასწოროთ ეს ღობე, ბიჭებო...  
მორჩა ჩვენი ნავარდი! ჩვენ... ჩვენ...

— რა „ჩვენ“? — შეეშინდა ავთოს.

— არ ვიქცევით სწორად... ახლა  
ამით მოვრჩეთ და... წავედით!

მაგრამ გვიანდა იყო. დიდედა მე-  
ლანო ღობის მეორე მხარეს მოგვდ-  
გომოდა, კალთა აეკაბიწებინა.

— მწვანევ, ბოთევ! — და წამოვიდა

ცრუწევლის ნიაღვარი: — თქვენ არ  
დამეხსცენით, ღობე ხომ გამოიცხულე  
ვიეთ, რატომ აღარ გამოიცხულე  
შიგ? რამდენი ხანია გელოდებით,  
დაიცათ, თქვენ არ დაგაყარეთ მიწა!..

სად წავიდოდით, მონუსხულები-  
ვით ვიდექით. შოთამ დეპეშა უბეში  
გააქანა.

— დაიცათ-მეთქი, თქვე არ გასაწ-  
ყვეტებო! — განაგრძობდა ქოთქოთს  
დიდედა მელანო. — გშიათ? აპა, გა-  
სკდით, არა და არ ჩაგისკდათ ეგ  
მუცლები! — კალთაში ჩაიყო მომჭე-  
ნარი მარჯვენა და ქორფა კიტრები  
შემოჲყარა ხვრელში, მერე პამიდვ-  
რებიც მოაყოლა... — აპა, ჩაცეც-  
ლეთ-მეთქი!

კუდამოძუებულები გამოვიძურწე-  
ნით. ვისდა ეცალა ჭამისათვის. ისევ  
აკაციის ქვეშ მოვგროვდით.

— არ გავაგებინოთ? — ცრემლი  
მოერია ავთოს.

შოთას არაფერი უთქვამს. დეპეშა  
ამოილო და ასანთი მოჩხრიეა. შავად  
აბოლდა მიწისფერი ქაღალდი. ცერა  
და საღვიკი თითებით ეჭირა შოთას  
დეპეშის ქიმი. ალი თითებს რომ მი-  
სწვდა, მიწაზე დაუშვა. შავი ფერფ-  
ლება დარჩა. ისიც ქუსლით ჩასრისა  
მიწაში.



**II** პილისის 23-ე საშუალო სკოლის გეოგრაფიის მასწავლებელმა ია ეცეტაძემ გამოაცხადა, რომ მარუხისა და ქლუხორის ბრძოლების 40 წლისთავის აღსანიშნავად სკოლის დირექტორმა და პედაგოლოგმა გადაწყვიტეს მოწყობა წინაპართა სისხლით მორწყულ ადგილებში.

ლაშერობაში მონაწილეობის მსურველები ძალზე ბევრი იყვნენ, მაგრამ სამედიცინო შემოწმების შემდეგ შეიჩინა მხოლოდ 12.

...1983 წლის 1 აგვისტო. თბილი-



გათარებების გასვლამდე წუთებიდა დარჩა.

## გაიკია ქეოგრაფიის უკვდავსაყოფალი

სის რკინიგზის სადგურზე მოლაშქრებს უკანასკნელ დარიგებებს აძლევენ სკოლის დირექტორი მადონა მგელაძე, სასწავლო ნაწილის გამგე აფროდიტა გეგია, ოქტომბრის რაიონის განათლების განყოფილების გამგე თემურ ანდრიაძე, მასწავლებლები, მშობლები. მატარებელი „თბილისი — სოხუმი“ დაიძრა... გზა მშვიდობისა, ბავშვებო!

თუმცა შოვში ჩატარებულმა საწვრთნელმა შეკრებამ ბევრი რამ შეს-

## მინა მომავალი ექსპედიციის მონაწილეებს, მაინც ყველა ახალბედა და ამიტომაც ყველა ერთნაირად ლელავს...

ექსპედიციამ წარმატებით ჩაიარა. შთაბეჭდილებებით, ნანახით და განცდილით გამდიდრებული გოგო-ბიჭები ახლა სხვა მღელვარებამ მოიცავდნენ.

ვა. მათ ამხანაგებისა და სპეციალურად ამ შემთხვევისათვის მოწვეული სტუმრებისათვის უნდა მოეთხოოთ:

თავიანთ ექსპედიციაზე.

აღელვებული უსმენდნენ მოზრდების ნაამბობს მარუხის ბრძოლების მონაწილენი გრიგოლ ლომიძე, შალვა ზაუტაშვილი და გრიშა ქურციკიძე, თვალწინ სისხლისმღვრელი ბრძოლების სურათები უდგებოდათ.

1942 წელი... ფაშისტები ჩევენი სამშობლოს შუაგულამდე შემოიჭრნენ. გეგმით გათვალისწინებული ჰქონდათ სამხრეთ ფრონტის გარღვევა, შავიზღვისპირეთის და ბაქოს ნავთობის ხელში ჩაგდება და თურქეთ-ირანის საზღვარზე გასვლა. ივლისში მტერი კავკასიას მოადგა და მარუხის და ქლუხორის ულელტეხილის აღება მოახერხა. გერმანელები რიცხობრივად და ტაქტიკური აღჭურვილობით გვკობნიდნენ, „ედელგაისის“ საგანგებოდ გავარჯიშებულ ჯარისკაცებს მაინცდამინც არ უჭირდათ ჩევენს მთებში. 15 თვის განმავლობაში მიმდინარეობდა სისხლისმღვრელი ბრძოლები, მრავალმა სა-



შეღანაგული უსიმდონ მოსაზღვები ესაელიციის მონაწილეთა სამინისტროს ნააგონას.

ბჭიოთა ჯარისკაცმა შესწირა თავი საშობლოს, მათი სისხლით მოირწყა ეს ადგილები. შეუპოვარი ბრძოლების, საბჭიოთა მეომრების უმაღლითო ვაჟკაცობისა და სიმამაცის ფასად გერმანელების გეგმები გეგმებად დარჩა...

ფიქრებში წასული ომის ვეტერანები მამუკა კუპრეეშვილის ხმამ გამოარკვია. ბიჭუნა ყვებოდა:

— 4 აგვისტოს მოლრუბლული ამინდი იდგა, მაგრამ ჯგუფის გასვლა აუცილებელი იყო, ამიტომ უღელტეხილისაკენ მიმავალ გზას გავუყვართ. სამარისებურ სიჩუმეში საკუთარი გულისცემა გვესმოდა. ბუნების

ვეყვანეთ. როგორც იქნა, მივალწიეთ იმ ადგილს, სადაც ცოტა ხნით უნდა შეგვესვენა. ადგილი ყინულიანი და ცივი იყო, ჩამოსვლას ვჩერობდით, რადგან წყვდიადი ლამე იდგა და ძალაც გველეოდა. მაგრამ ჩასვლა უფრო ძნელი აღმოჩნდა, ვიდრე ჩვენ გვეგონა. ქვები იშლებოდა და თავს ველარ ვიმაგრებდით, ვეცემოდით, თოკის იმედილა გვქონდა. დილის ოთხ საათზე უკვე ქვევით ვიყავით. გადალლილებმა საძილე ტომრები ძლივს გავშალეთ და იმ წამს-ვე დავიძინეთ.

— დილით საკმაოდ მხნედ ვიყავით, — შეეშველა ამხანაგს ვიტალი

**ფრთხოების  
ეპიზოდების  
ისახებას  
გრიგორ  
ლომისა.**


**რელი  
ეარუშის  
გავლის  
უავეჯ  
კარგ  
დასვენებას  
რა  
ჯობას...**

მაჭარაძე, — ყინულებით დაგიბანეთ და ვისაუზმეთ. ლოცადავინახეთ, რა მანძილი გავიარეთ, კინალამ გული გავისკდა. დავეწყვეთ და გზა განვაგრძეთ. მალე ობელისკებისა და მემორიალების ტყე გმოჩნდა. დუმილი ველარ დავარღვიეთ, ასე ხმამოულებლივ ავედით ულელტეხილზე, მოწიწებით პატივი მივაგეთ გმირ მეომრებს და მოსაზღვრე ყარაჩაი-ჩერქეზეთის ავტონომიურ ოლქში გადავედით.

— დომბაიში ჩასვლისას, — ამბობს ნინო ლლონტი, — ცოტა დავისვენეთ, მოწიწესრიგდით და დავბრუნდით ისევ ჩრდილოეთ თავშესაფარში, შემდეგ კი ჩხალთის ხეობის გავლით გეზი მარუხისკენ ავილეთ. ალპური ზონის სიმშვენიერეს ვერაფერი შეეღრება.


საკმაოდ მაღლა ავედით, უოველ ნაბიჯზე გვხდებოდა მემორიალური დაფები სხვადასხვა წარწერებით. რომლებიც ჩვენი ქვეყნის მრავალი კუთხიდან ჩამოუტანიათ აქ.

— აჲა, მარუხიც... უკვდავ გმირთა საფლავი, — განაგრძობს თამრიყო კეცხველი. — დავათვალიერეთ აქაურობა და ჩვენი მემორიალური დაფისათვის ადგილი შევარჩიეთ. მუზეუმისათვის ექსპონატებს ვეძებდით, ვიპოვეთ კიდევ — ცარიელი და



სილამაზემ ისე მოგვაჯადოვა, რომ კრინტსაც ველარ ვძრავდით. სერპანტინით თითქმის თოთხმეტი კილომეტრი გავიარეთ და ალპურ ზონაში შევედით. უცემ წინ დიდი ნაშალი გადაგველობა, დიდი წვალებით გადავლახეთ იგი, მაგრამ მალე ახალ დაბრულებას → თოვლის სქელი ფენით დაფარულ მონაკვეთს წავაჩუდით. გამჭოლი ცივი ქარი კარვების გაშლის საშუალებას არ გვაძლევდა. თოვლზე გადასვლა კი სახითათო იყო. შეიძლებოდა სულ პატარა შეცდომაც საბედისწერო გამხდარიყო, რადგან ჩვენს ქვემოთ კილომეტრნახევრიანი სიღრმის ხეობა იწვა.

— ამასობაში შემოგვაღიამდა, — განაგრძო ზაზა ფიჩაიამ. — მოთაბირების შემდეგ უფროსებმა გადაწყვიტეს, თოკებით სათითაოდ გადაწყვიტეს,



ქ. მარქესის ს. ბ. საქართველოს მემორიალური დაფისათვის ადგილი



დაუცლელი ვაზნები... ადამიანის ჩონჩხებაც კი წავიწყდით... თვალწინ წარმოგვიდგა აქ გამართული ბრძოლები... თვალცრემლიანებმა გაყინული ხელებით დავამაგრეთ მემორიალური დაფა.

ექსპედიცია დამთავრდა. მიზანი მიღწეულია. ლაშქრობის ყველა მონაწილის საერთო აზრით, ამ მოგზაურობამ, პატრიოტული გრძნობის გაღვივების გარდა, ბევრი სხვა სიკეთე მოუტანა მათ, შეაჩვია ერთმანეთის პატივისცემას და სიყვარულს. სიძულისა და დაბრკოლების გადა-ლახვას, გამარჯვების სიხარულს.

ცრემლმორეული უსმენდნენ ბრძოლების მონაწილენი გოგო-ბიჭების ნაამბობს და გული სიამაყით ევსებოდათ. მათი სახელით ვრიგოლ ლომიძემ დიდი მადლობა გადაუხადა მოსწავლებს. დაღუპულ გმირ მეომართა ხსოვნისა და პატივისცემისათვის და იმედი გამოთვა. რომ ისინი ჰეშმარიტ მამულიშვილებად ვაიზრდებიან. ბევრი ფრონტული ეპიზოდი გაისხენა ომის გმირშა, თვითონაც და დამსწრეებიც ლელავდნენ. პოცა გრიგოლ ლომიძე მარუნის ბრძოლებზე, საბჭოთა ჯარისკაცების უმაგალითო გმირობაზე ყვებოდა.

სკოლის დირექტორმა მაღინა მგელაძემ სამახსოვრო საჩუქრები ვადასცა სტუმრებსა და ექსპედიციის მონაწილეებს, შემდეგ კი ყველამ ერთად სამახსოვრო სურათები გადაიღო.

...23-ე საშუალო სკოლის მოსწავლეთა პირველმა ალპინისტურ-ტურისტულმა ჯგუფმა, რომელსაც „ქურუკივი-83“ ერქვა, წინააღმდეგობების მიუხედავად დასახულ მიზანს მიაღწია და ის წვლილი შეიტანა საშუალოსათვის დარღვეულ გრიტა ხსოვნის უკიდავყოფაში.



### ვებელთან თამაშობს ვინ დღენიადაგ

ათეულ წლობით

ნაღვაწს და ნადაგს,

ათეულ წლობით

ნაშენს და ნაგებს

ვინ სცემს შიშის ზარს

და დღენიადაგ

მშვიდობის იმედს

ვინ აჩანაგებს?!

ვინ არ ისვენებს,

ვინ აიტანა

წერამ,

სიცოცხლეს ვინ ემუქრება?!

სამშობლოს დაცვის

გრძნობა ტიტანად

ჩვენ გადაგვატცვეს

ყველას უკლებლად.

დავიცავთ, როგორც

წინათ ვიცავდით,

ჩვენ ჩვენს სამშობლოს

წმიდათაწმიდას.

როგორც გვჩვევია:

კუბოს ფიცრამდი.

მტერს არ დავუთმობთ

მარის ერთ ციდას

ერც ხელყოფს წლობით

ნაღვაწს და ნადაგს,

ვინც ხელყოფს წლობით

ნაშენს და ნაგებს,

თამაშობს ცეცხლთან

ვინც დღენიადაგ,

ვასუხს თავისი

სიცოცხლით აგებს.

### ვახსოვანი

მახსოვს, დავწერე როდის მე ლექსი თავდაპირველად და სად.

ცელივით მჭრელი ლურჯი ბელესი ქარში მღეროდა დასად.

ზაფხული იყო. იმ დღეს ომიდან მამა დაბრუნდა, დაბრუნდა და ესხმოდა დედას, მამიდას სიხარულისგან თავბრუ.

მამა გვერდიდა ცრემლმორეული გაოგნებულებს ჯერაც:

მერე ავიდე ლურჯი რვეული და ლექსის დავჯექ წერად.

ეს იყო ზუსტად ორმოცი წლის წინ, რა დრო გასულა, რა დრო!

მას აქეთ ვარამს, სიმღერას, სიცილს ლექსის ბრწარებად ვადნობ.

სულს ვლევ მხედრულში, სულს ვლევ ლილეში,

წლები მითეთრებს თმა-წვერს...

ალბათ ბოლო ლექსის, პირველი ლექსის

თრთოლვა-კანკალით დავწერ.





# ტკ. უბი

დოდო ვაღაჟერისა

შხატვარი ჯემალ ლოლუა

მოთხოვა



მწვანე, წვიმისაგან ალაპლაპებული მანქანა სავადმყოფოს წინ გაჩერდა. მანქანის კარი გაიღო, იქიდან შავი ქოლგის წვერი გამოჩნდა. ქოლგა სწრაფად, ტკაცუნით გაიხსნა. მანქანიდან კაცი გამოძვრა, კარი მიაჭახნა და სირბილით გაიარა მოკეტილი ბილიკი. თეთრი სამსართულიანი სახლის დიდრონი ფანჯრები ამწვანებულ ეზოში გამოდიოდა. ზოგ ფანჯრაში თეთრხალათიანი სილუეტი მოჩანდა. ივალდყოფების პატრონები იქნებიან, — გაიფიქრა შოთამ.

კარი შეაღო და ქოლგა დაჭეცა.

— გამარჯობათ, ბატონი, — გადალობილის იქით მთვლემარე კაცს მიესალმა შოთა.

კაცმა თავი დაუჭნია და ცალი თვალით ახედა.

— არსენ ექიმი მინდა, თუ შეიძლება.

— ა. ტელეფონი, დარეკე.

მოსულმა დარეკა. მორიგემ, როგორც იქნა, მისცა მეორე სართულზე ასვლის ნება. შოთამ მთვლემარე მეგარდერობებს კუთხეში მიუუღიბულ სველ ქოლგაზე ანიშნა, შენ გოტოვებო, და ორ-ორი საფეხურის არბენით კიბე აიარა.

ერთ ოთახს „პროფესორი“ ეწერა. შოთა წამით შეყოყმანდა, მერე ჩაახვედრა და ფრთხილად შეაღო განიერი კარი.

საწერ მაგიდასთან სათვალიანი მოხუცი კაცი იჯდა. შემოლებულ კარს ერთი კი შეავლო თვალი და ისევ წინ დახვავებულ ქალალებს დაცერდა.

— მობრძანდით, დაბრძანდით, — თავაუღებლად მიმართა შოთას. — რამ შეგაწუხათ?

— მამა მყავს, ბატონი პროფესორ, ავად და თუ არ შეგუბდებით...

— სადაური ბრძანდებით? — მოხუცმა ყურადღებით შეხედა სტუმარს, თითქოს ეცნოო. სათვალე მოიხსნა, თვალები მოისრისა.

— აკეთელი გახლავართ, ბატონი, მაგრამ მანქანა მყავს და...

— ჩემებური ყოფილხარ. — ექიმს შეეტყო, რომ გაუხარდა. — აკეთში წამოსვლაზე ვერ გეტყვი უარს.

— ხელებს დაეყრდნო და წამოსალ ზარის ღილაკს თითი ღუშებისა და ფანჯრას მიადგა, წვიმიან ეზოს გადახედა.

კარი ფრთხილად გაიღო და ახალგაზრდა ექიმი ქალი შემოვიდა. შოთას მიესალმა. ქალს გულზე, ვერცხლის სამკაულებთან ერთად, ფონენდოსკოპიც ეკიდა.

პროფესორი შემობრუნდა, მსხვილი წარბები ასწია და ქალს გაულიმა.

— მოხვედი, მზია? — ისევ შოთას შეხედა. — დიდი ხანია, მამა ავადაა?

— ორი კვირაა, ბატონი. ჩვენი თამარა ექმი სულ თავს დასტრიალებს, მაგრამ ევრაფერი მოუხერხა, ფეხზე ვერ წამოაყენა. წახლა მითხრა, ჩაღი მახარაძეში და პროფესორი ამიყვანეო...

— მზია, შენ და ნოდარი უნდა წამოხილეთ, რომელიმე ექთანიც. თან კველაფერი, რაც საჭიროს...

ისევ გადაუღებლად წვიმდა. გზა დაბურულ ხეივანში მიდიოდა. წვიმისაგან დასველებული ასფალტი სარევსავით ირეკლამდა ხეთა სილუეტებს. პროფესორს ეჩვენებოდა, მანქანა მდინარეში მისრიალებსო. ნისლი ნელა იყრითებოდა და მთებისაკენ მიიჩეროდა.

პროფესორი წინ იჯდა, მძღოლთან. ახალგაზრდები ხმადაბლა ლაპარაკობდნენ. ავალდყოფების; პატრონი, ეტყობოდა, ჩქარობდა, ახალგაზრდების საუბარში არ ერეოდა. და გზას ყურადღებით გასცემოდა ოდნავ საჭიროების გადასრილი. პროფესორი კი ლრმა ფიქრებში იყო წასული.

ავალდყოფი კვნესოდა. ქუთუთოები დამძიმებოდა, მაგრამ თვალს არ ხუჭავდა, აღბათ ეშინოდა, სიკვდილი არ მომეპაროსო. ბუხარში აბრიალებულ ალს ისე მისჩერებოდა, თითქოს უნდოდა ცეცხლის მცხუნვარება მზერით აცახცახებულ სხეულში გადმოეტანა და ცოტა მაინც შემთბარიყო. ავალდყოფს ეჩვენებოდა, ცეცხლის ალმური მხოლოდ

ოთახის შუამდე ალწევს და მერე ისევ უკან ტრიალდება, ისევ ბუხარს უბრუნებსო ძალას.

„შმ, ამ ალივით მედება ეს ავადმყოფობა და ისევე მაქცევს ნაცრად, როგორც... — დიმიტრიმ ბუხართან მიმსხდარ ცოლ-შეილს გახედა. უფროსს საკეცე ეჭირა ხელში. სულ ახლახან ულვაშეკორილს, დიდრონ თვალებში ეშმაკებივით უხტოდა აღის ათინათი.

გარეთ გადაუღებლად წვიმდა.

— ადე, ბაბა, ცხენი გვყავს, ლვთის მოცემული, თავზე ტომარა წამოიხურე და ჩადი ოზურგეთში. ექიმი ამომიყვანე, თორებ გვიანი იქნება ტირილი და ვაი-ვიში. ველარ გამაცოცხლებ მერე!.. — ცრემლიანი კვერცხი ამორქვა ავადმყოფმა.

უფროს ბიჭს საკეცე ხელში შეუჩერდა. მუჯუზალმა გაიწყიპინა და ზედ პაჭიჭე მიახტა ნაპერწყალი. ოთახში ტრუსის სუნი დადგა.

— კი წვიმს, მარა... — ჩუმად თქვა დედამ, ეტყობოდა, წვიმაში შეილის გაგდება ენანებოდა, მაგრამ რა ექნა. კაბის კალთა ჩამოიქაჩა მუხლებზე. — ცხენი წაგიყვანს, ფეხით ხომ არ მიღიხარ, შვილ!

— კი ბატონო, უარი ვთქვი, თუ? — ჩუმად თქვა არსენმა. საკეცე ბუხრის კუთხეში მიაგდო, ჯორქოდან წიმილგა და მამას თავზე დაადგა. — განსოვს, ბაბა, სად ცხოვრობს იგი ექიმი?

დიმიტრიმ ვარდისფერ, თეთრად დაწინწელულ პირიან ბალიშს ყური დასუსტებული ხელით ჩაუკეცა და ცალი თვალით გახედა ცოლს.

— კი ბატონო, მახსოვს. — მიუხვდა სოფიო. — ბალთან, ჩხარტიშვილების სახლთან გადაუხვიე, გაყევი მერე მარჯვნივ და მიხვალ. კითხვაც არ გინდა. მიხვდები, ექიმის სახლი რომაა.

— რანაირად მიხვდება ახლა, ექიმისა თუ ტირფილასი?

— მიხვდება, ბატონო, ღმერთმანი. ყველაფერზე ეტყობა. გარედან სახლი შეღებილია, ზარია მიმარტებული კარზე. — დაფიქრდა დედა.

— იყითხე, შე კაცო! რა ისტორია გახადე! — გაუღიმა დიმიტრიმ შვილს.

— კაი, ბატონო. — ჩუმად თქვა არსენმა და გავიდა.

წვიმა ზედ ღუშალს უშენდა, ასხლეტილი წყალი აიგნის იატაკზე თხლაშანით გაღმოდიოდა და მოწუმბულიყო ყველაფერი. აიგნის ბოლოს მიმდგარ ტახტზე გაფენილი ზოლიანი ფარდავის აღება დავიწყებოდათ და თავისი მუთაქებიანად სულ მთლად დასველებულიყო. ტახტის ქემოდან ძალის ფეხები და ბანჯგვლიანი კუდი ჩანდა.

არსენმა კარი გააღო თუ არა, ძალმა კუდი იატაკს რამდენჯერმე დაარტყა და გამოძვრა.

— გადი, ძალლო, იქით! ამ თხრო-ჟოში არ გეზარება გარეთ წანწალი? წადი, შე აბდალო, დაწევე და იძინე! — მაგრამ ძალმა არ დაიშალა და ძუნძულ-ძუნძულით გაეკიდა პატრონს.

ცხენს არ ესიამოვნა ზურგზე ნოტიო უნაგირის დადგმა და შეაურულობა. მერე კუდის ქნევით, ფრუტუნითა და ყურების წყაპუნით გამოჰყება აღვიჩს. არსენმა ერთი ტომარა ცხენს გადაახურა გავაზე, მეორე კუთხეში ძაბრივით ჩაჭილობა და კაპუშონივით თავზე წამოიხურა.

გზა ჭონჭუოდ ქცეულიყო. ღრმა გუბეებსა და ორრო-ჩოლრო ორლობებში მაინც ლამაზად მიაბიჭებდა ცხენი. ღროდადრო დაიფრუტუნებდა, კუდი აიქნევდა. არსენს ერთი პირობა თითქოს ჩასთვლიმა. უცებ ცხენის წინა ფეხებთან ძუნძულით მიმავალ ძალის მოჰკრა თვალი და გამოფხიზლდა.

— მაინც წამოხვედი?! გაუგონარი კი ჩარ, მაგრამ ერთგული ხარ და როგორ გაგიგავრდე! კარგი, ბატონო, იარე ამ წუმშეში და გასხას ზემოდან თხროშომ, თუ ასე ძალიან გინდა! შეკაი ძალლო, იქ არ ჭობდა, ტახტის ქვეშ, სიზმებში ყოფნა? მაგრამ არ ჭობდა ალბათ, არა? რას იზამ, მაღლობელი ვარ შენი!

თითქოს ძალმა გაიგოო პატრონის ნათქვამი, დამანაშვის თვალებით ამოხედა. ამოძუებული კუდი არ შეუჩევია, მაგრამ მიხვდა არსენი, წვიმა რომ არ ყოფილიყო, ააქიცი-

ნებდა თავის ბანჯგვლიან ქუდი და კეპლუცად გაივლ-გამოვლინდა.

— რომ შეიძლებოდეს, აშოგვა-ამ აქ, ჩემთან, უნაგირზე, კაი მოტაცებული ქალივით გადაგკიდებ, მაგრამ არაა ეს შენი ჯიში და რა ვქნა. ნუ გეშინია, აქეთობას ამოგიდგები გვერდით და ერთად ვივლით ჩვენ-ჩვენი ფეხით. მაგრამ, დავიჯერო, ესაა ჩემი ჯიში? სხვამ ცხენით იაროს და მე ძუნძულ-ძუნძულით — ფეხით? — დაფიქრდა არსენი. მოაგონდა, ექიმი ცხენით უნდა წამოებრძანებინა და თვითონ ფეხდაფეხ გამოჰყოლოდა.

„ჯიში, — ისევ განაგრძო ფიქრი. — ნუთუ ადამიანებშიაც არის განსხვავებული ჯიში? ცხენით მოსიარულე და ფეხით მოსიარულე კაცის ჯიში? ნურას უკაცრავად, ძალინაც კარგი ჯიშისა ვარ, — უნაგირზე გასწორდა არსენი, თავი მაღლა ასწია. — რას იზამ, ის ექიმი ბრძანდება, ცხენი უნდა ვაახლო და წამოვიყვანო, აბა?! მე რა... მე ვინ ვარ? ბრუტი! მეტი ვინ? გამოვთლი კეცს, ჩავიტან პარასკეობაზე ოზურგეთში... თუ გავყიდე, ხომ კარგი, თუ არ და, უნდა ამოვათოიო უკან, აკეთში. რა ჯანდაბამ გააჩინა ამ აკეთში ისეთი ქვა, კეცი რომ ითლება, ან მე რამ დამბადა მაინცდამანც აკეთში. არ შეიძლებოდა, მეც ექიმად გაგჩენილიყავი? ექიმად... გაიმეორა ბრუტიმ და დაფიქრდა. — არც კეცის მოლევად გაგჩენილია, ბაბამ მასწავლა. ექიმობა რომ ვისწავლო? — ფიქრობდა არსენი. — ისე, რასაც მე ქალები მლოცვავენ! შენ გიყეთდა ხელიო, შენ იცოცხლე ისე გემრიელად, როგორი გემრიელი მჭადი და ხაჭაპურიც შენს გამოთლილ კეცზე ცხებაო. ვინმემ ხომ უნდა გამოთალოს კეცი? მოარჩინა ექიმმა ავადმყოფი, ხომ, მერე? ჭამა არ უნდა? ერთმა კეცი თუ არ გამოთალა, სხვამ ქოთანი თუ არ გამოწვა, ხელის გულზე აბა არ გაკეთდება კერძი...“ — არსენი ისე გაერთო ფიქრში, გზისათვის ყურადღება არ მიუქცევია.

გზა ახლა სუფსის პიჩას მიდიოდა და უამინდობა უფრო იგრძნობოდა. ხევში მიქუხდა მდინარე, ნისლი

გადაფარებოდა ზემოდან, წყალი  
მოდიდებულიყო და ალაგ-ალაგ გზა-  
ზე გადასულიყო.

ოზურგეთში დვაბზუს მხრიდან  
შევიდა არსენი. ქუჩებსა და ორლო-  
ბეებში არავინ ჭაჭანებდა, ავდრით  
დამფრთხალი ხალხი ალბათ სახლებ-  
ში იყო შეყურული და აგიზგიზებულ  
ბუხრებთან იჯდა.

„ვის შევეკითხო, კაცი არ ჩანს,  
— გაიფიქა არსენმა. — ნენამ, ჩხა-  
რტიშვილების სახლს გაუყევიო“.

ერთ ყავრით დახურულ, წვიმისა-  
გან განაცრისთვერებულ სახლს ჩა-  
უარა ბრუტიმ. მეორე სახლის ქვის  
კიბეზე ქიონის ყვავილები გამოედ-  
გათ წვიმაში. კიდევ რამდენიმე სახ-  
ლი და — შეღებილი, კრამიტით და-  
ხურული შენობა გამოჩნდა, სახლი  
ღრმად იდგა ეზოში. ჭიშკრიდან ეზ-  
ომდე გაკრეპილი ბზის ბუჩქები მი-  
ჰყვებოდა მოკენჭილ ბილიკს.

„რა ლამაზია, — გაიფიქრა არსე-  
ნმა. — მეც ავიშენებ ასეთ სახლს.  
ქობულეთიდან ამოვიტან კენჭებს.  
კარზე მივამაგრებ ზარს. გაჭირ-  
ვებული კაცი მოადგება ჩემს კარს  
და ვუშველი. მჭადი და ხაჭაპური  
სხვის გათლილ კეცზე გამოაცხონ  
ჩვენმა ქალებმა“.

— არ გრცხვენია, ბიჭო? — ვიღა-  
ცის ხმა ჩაესმა ფიქრებში წასულ  
ბიჭს. მერე მარჯვნივ მიიხედა და  
ტანმორჩილ კაცს მოჰკრა თვალი.  
კაცი, ეტყობოდა, ნასვამი იყო, ისე  
აღაუღაებოდა სახე.

— რა იყო, ბიჭო, ამ დაქცევა ამ-  
ინდში რომ არ გამოგეყვანა ეს სა-  
ცოდავი ცხენი და ძალლი, არ შეიძ-  
ლებოდა?

— თუ არ შეწუხდები, ჩემო ბი-  
ძია, ექიმის სახლი მიმასწავლე, —  
ზრდილობიანად უთხრა არსენმა და  
ტომარა ოდნავ აიწია მათრახის ტა-  
რით. მერე შუბლიდან წყალი ჩამ-  
ოწურა და ახალუხის სახელოთი  
გაწუმპული სახე მოიმშრალა.

— ექიმი? გიჭირს, ბიძია? — კაცი  
უცებ დასერიოზულდა. — ა, ბიძი-  
კო, ესაა მისი სახლი. მარა ამ ავდ-  
არში გამოგვება? საიდან ხარ?

— აკეთიდან, ბატონო.

— აუქ! შორი გზაა. წამოდი, წა-  
მოდი! — სადავეზე მოუკიდა ხელი



და გაუძლვა. მოურიდებლად მიაშლა-  
პუნებდა წულებიან უეხებს წუმპე-  
ში. — უყურე! ეს ცხენი აქ დააბი,  
ეს ჟალლი აქ დატოვე. კატა არ გყა-  
ვდა, პირია, სახლში? — გაიცინა კა-  
ცმა. აჩსენსაც გაეღიძა.

— კერ მოვიშორე, ბიძია, რა ვქნა,  
— მოიხილუნშა.

— მასე იცის კარგმა ძაღლმა, აბა!  
მაგან იყითხოს, მე რა მენალვება.  
შედი ახლა. ხედავ, ეგერ, რყინა რო-  
მაა დამაგრებული? ჭოდა, ის გადა-  
ატრიალე. გაიგონებს, ერთი პრანჭია  
ნათესავი ჰყავს, გამოწეაპუნდება.  
ძალიან შეეხვეწე, თორემ შეიძლე-  
ბა არც შეგიშვას სახლში, ზედ  
ცხვირთან მოგიხუროს კარი. ასეთ-  
ია, შეჩვენებულის ერთია. მე მოგი-  
დო აქ.

— წაბრძანდი, ბიძია, დასველ-  
დები, — გულწრფელად უთხრა ა-  
სენა.

— დაგსველდება! მის მეტს რა-  
ღას დაგსველდები, შე მამიძღლო!  
— გულიანად გაიცინა კაცმა და ჭი-  
ბეში საოუთუნეს დაუწყო ძებნა. —  
ჟე, მიდა.

არსენმა საღვე ღობის სარს  
ჩამოაცვა. თივიანი აბგა თა... უ გა-  
უკეთა და შეგ ცხვირი ჩაყვარენა  
ცხენს. ტომარა ლობეს მიაფინა და  
წელში მოხრილი, მხრებში თავჩა-  
რგული სირბილით ავარდა კიბეზე.

ზარმა უსიამოვნოდ დაიზრიალი.  
მალე (ეტყობოდა, იატაქს რბილი  
საფენი ფარავდა) რბილად მოისმა  
ფეხის ხმა. კარი ფართოდ გააღო  
ვიღაც გოგონამ და გრძელი წამ-  
წამებით დაჩრდილული დიღრონი  
თაფლისფერი თვალები შეანათა  
არსენს.

— ექიმი მინდა, ბატონო, — ჩუმ-  
ად თქვა ბიჭმა და გოგოს რომ გა-  
ელიმა, თითქოს გათბა და ზურგში  
სისველისაგან მოძალებული ურუ-  
ლა დაუამდა.

გოგო უხმოდ გატრიალდა, კარი  
კი მიხურა, მაგრამ არ ჩაუკეტავს.  
ცოტა ხანში ისევ გაისმა ფეხის ხმა  
და კარი უფრო ფართოდ გაიღო.

— ფეხე გაიხადე, — მორიდებით  
უთხრა გოგომ.

არსენი წულით შედგა. მერე და-  
მალი წულები წაიძრო და სველ

წინდაში გამოგდებული ცერი რომ  
დაინახა, გულს შემოეყარა. „ღმე-  
რთმა დაგწყევლოს, რამ გამოხვ-  
რიტა ახლა ეს ოხერი.“ მერე წინ-  
და ქვემოდან წამოსწია კედლისკენ  
მიბრუნებულმა, ცერი მოკუნტა, იქ-  
ნებ დაიმალოს. ფრთხილად ადგა-  
მდა არსენი ფეხს წითელ, ფულფუ-  
ლა, მწვანეარშიინ საფენზე.

— შედი, — თქვა ვოგომ და კარი  
შეაღო.

ექიმი მუხრის წინ, საქანელა სკა-  
მზე იჯდა და ირწეოდა. წითელ სავა-  
რელში ხავერდისკაბიანი ჩასუქებ-  
ული თეთრი ქალი იჯდა და ქსოვდა.  
მრგვალ მაგიდაზე მწვანექუდიანი  
ლამპა ენთო და იდუმალ იქრს ძა-  
ლევდა იქაურობას. ბუხრიდან გამ-  
ოსული სითბო და ალის ფერი მო-  
სდებოდა კედლებსა და კრიალა  
ავეჭს. ექიმს ლურჯი საშინაო ტინ-  
საცმელი ეცვა. მაღალი, შავგვრემა-  
ნი, შექალარაცებული ულვაშა კა-  
ცი იყო. დიღრონი ცოცხალი თვა-  
ლები ჰქონდა და ალერსით იცქირ-  
ებოდა.

— მობრძანდი, — ლიმილი შეაგე-  
ბა არსენს.

— გამარჯობათ, ბატონო, — წელ-  
ში მოიხარა არსენი.

— კი გამარჯობა შენი. რამ შე-  
გაწუხა ამ ავდარში, შე კაცო?

— ბაბაა ავად, შენი ჭირიმე. ძა-  
ლიან ცუდად რომ არ იყოს...

— საიდან ხარ?

— აკეთელი ვარ, — სოფლის და-  
სახელება გაუძნელდა არსენს. —  
მაგრამ ცხენი მყავს...

აკეთის ხსენებაზე ხავერდისკაბ-  
იანმა ქალმა შებლი შეიკრა და გა-  
ოცებული დააცერდა მეუღლეს,  
მერე მხრებზე მოგდებული მოსას-  
ხამი შეისწორა, თითქოს შესკივ-  
დაო, მკერდი დაიფარა.

— ცოტა ძნელია ამ ავდარში,  
მაგრამ რას იზამ... ექიმის მოვალ-  
ებოდა ავაღმყოფს უშველოს, არა? —  
ჩაეკითხა მოლიმარი ექიმი აფო-  
რიაქებულ მეუღლეს, ალბათ ამით  
ანიშნა, არაფერი უთხრა ამ კარგ  
ბიჭს, არ აწყენიონ.

— გმაღლობთ, — ისე ჩუმად აქევა  
არსენმა, სხესა არავის გაუდა რა. —  
ექიმის ცოლმა ქსოვას მოკა რა.

ექიმი მეორე ოთახში გავიდა და  
მალე გამობრუნდა. გრძელო წაჭრა  
ფერი მოსასხამი მოეგდო შხერგზე,  
თავზე ქუდი ეხურა. გოგონამ გრძე-  
ლტარიანი შავი ქოლგა მიაწოდა და  
კრიალი საკეტებიანი ყავისფერი ჩა-  
ნთა კარებამდე მიუტანა.

— თუ დამაგვანდეს, არ შეგეში-  
ნდეთ, — თქვა ექიმა, დერეფანში  
გამოსულ მეუღლეს გაუღიმა და  
შუბლებ აკოცა. — უჩემოდ ივახშ-  
მეთ, არ მოიწყინოთ. აბა, წავედით.

ექიმი მოხდენილად შეახტა ცხენს.  
უცებ ჭიშკართან ნაცნობი კაცი შე-  
ნუშა და გაუკვირდა.

— რა იყო, სამსონ, ჩემთან გაქვს  
საქმე?

— არა, ბატონო, ექიმი ღმერთმა  
ნუ დამაჭირებოს. ა, ამ ბიჭს მოვუე-  
ვი, შენი სახლი არ იცოდა. გიშვე-  
ლოს გამჩენმა, რომ მიყვები და  
უარით არ გაისტუმრე. დიდი მად-  
ლობა, — ქუდი მოიხადა, მოწირები-  
თ დაუკრა თავი და უკვე გზაზე  
დამდგარ ექიმსა და არსენს თვალი  
გააყოლა. — გზა მშვიდობისა, —  
ჩაილაპარაკა.

— კარგად ბრძანდებოდეთ, ბიძი-  
ა, დიდი მადლობა. — გაუღიმა არ-  
სენმა.

სამსონმა ხელი ასწია, თავი დაუ-  
ქნია.

— შენი ნათესავია? — სამსონზე  
ანიშნა ექიმმა.

— არა, ბატონო, პირველად ვნა-  
ხე დღეს, — ხმამაღლა თქვა არსენ-  
მა, წევიმის ხმაური რომ დაეფარა.

— ჰმ, — გაეცინა ექიმს და დაფი-  
ქრდა, მერე არსენს მოუბრუნდა: —  
შენ რომ ფეხით მოდიხარ, ეგ ვერ-  
აფერი ჟატიოსნებაა, — გაღმოსძა-  
ხა ბიჭს.

— გვადრებათ, ბატონო? — მო-  
რცხვად თქვა არსენმა და გვერდით  
მომავალ ძალს გაუღიმა, თან გა-  
იფიქრა, „ხომ შეგპირდი, აქეთობას  
გვერდით ამოგიდგები-მეტეი...“

— წერა-კითხვა თუ იცი? — ცო-  
ტა ხნის შემდეგ შეეხმიანა ექიმი.

— ორი კლასი დავამთავრე... მე-  
რე, რა ვიცი... კიდევ მინდოდა მეს-  
წივლა, მაგრამ ბაბამ კეცის თლა მა-  
სწავლა. ახლა ავადაა და აღარი... —  
მორცხვად თქვა არსენმა.

— ბაბა აღგება, შე კაცო, რა გული გაგტეხია! მერე უსათუოდ გააგრძელე სწავლა. ისე, თუ დამიჭერებ, კეცის თლა დიდი საქმეა. კარგი ხელობა უსწავლებია შენს ბაბას.

— ჩენს გვარში ყველა ბრუტი იყო. ახლა მარტო ბაბა დარჩა. შეეშინდა და იმიტომ მასწავლა, კიდევ სამი ძმა მყავს. ყველას უყვარს ბრუტობა.

— შენ?

— მე — არა... მე სწავლა მინდა. ვისაც რა უყვარს, ის უნდა გააკეთოს.

— ჰო, არსენ. შენ რომ იცოდე, რა მართალი თქვი. ადამიანი თუ თვის საქმეს აზ აკეთებს, ცოდვაა. მაინც, რა გინდა ისწავლო?

— ექიმი მინდა გამოვიდე. ჩემს აკეთსაც სჭირდება... — თავი ჩაღუნა არსენმა.

ორლობეში სვლა გაჭირდა. თითქოს იცრიალა კიდეც, მაგრამ ტალახი შუა წვივამდე იდგა, ჯერ იმას რა ამოაშრობდა. ცხენს თუ კაცს სვლა უძნელდებოდა. არსენმა ცხენს სადავეში წაგლო ხელი და ტალახის ზელით ნელა გაპყვა გზას.

ფერდობზე უზარმაზარ ხეებს

გამოვიდა. გაწუწულ არსენს მარტო ჩამოართვეს, ექიმს ზრდილობიანად მიესალმინენ. არსენი სტუმარს წინ გაუძლვა, ქვის კიბე წულების ჭყაპაჭყუპით აირჩინა და აივნის დაბალი კარი შეაღო. ექიმმა ჭოლგა ივანზე დადგა დაუკეცევად. კალოშები დაიხადა, საწვიმარი მოიხსნა და კიდელზე ლურსმანი მოძებნა, ქუდიც იქვე ჩამოჰკიდა. თმა გადაივარცხნა და არსენს გადახედა. აშროს კარი ფრთხილად გაიღო და ლოყებაწითლებულმა თვალებბრიალა პატარა გოგომ გამოჰკიდ თავი.

— შედი, გოგო, სახლში, — სიცილით დაუტატანა არსენმა.

— ეს ვინ ბრძანდება! — გაიცინა ექიმმა.

— დაია, ბატონო, ჩემი, — კარი შეუღლ ბიჭმა ექიმს.

ოთახში თბილოდა. ძირტქბილასა და კეჟერას ფოთლის სუნი იდგა. ბავშვები ფარდაგიდან წამოიშალნენ. დიასახლისი და რამდენიმე კაცი ფეხზე იდგა და ელოდა ექიმის შემობრძანებას.



— მართალი ხარ, ჩემო... — შეჩერდა ექიმი.

— არსენ, — ჩუმად თქვა თავისი სახელი ბიჭმა.

შორის კრამიტით დახურული სახლის საკვამური გამოჩნდა. სიჩუმე იდგა ირგვლივ. ჭიშკრის გახმაურებაზე სახლიდან ორი ახალგაზრდა

— აქა მშვიდობა, ბატონებო! დაბრძანდით, დაბრძანდით! — ცალი თვალით გახედა ავადმყოფს. ბუხართან მივიღდა და გაყინული ხელები მიაფიცხა აალებულ შეშს.

ავადმყოფმა დაიკვნესა და ექიმმა ისევ გამოიხედა.

— ჩოგორ გრძნობს თავს ჩვენი ავადმყოფი? — იყითხა და ზურგი მიატიცხა ცეცხლს, ხელები ახლა უკან დაიწყო.

— რა მოგახსენოთ, ბატონო. აგ-ერ მეორე კირაა, წუხს. ჩის მეტს ვერაფერს სვამს და ჭამს. აციებს და აცხელებს. გაყვითლდა.

— ჰმ, — ცარიელ ჯორქოს დასწვდა ექიმი, მაგრამ მასპინძელმა და-ასწრო და საწოლთან სელის სკამი მიუდგა. ექიმი სკამზე ფრთხილად დაჯდა და ავადმყოფის გამხდარ გრძელ თითებს ალერსით დაადო ცეცხლზე გამთბარი ხელი. — რა იყო, შე კაცო, რამ წაგახდინა!

— რა ვიცი, ბატონო, თქვენ კი გადმოგაგდეთ ამ დაქცევა ამინდში ამიშორეს. გაიწუმპეთ, ხომ? მოხ-ედე, ქალო, ექიმს!

— მივხედავ, ჩემო ღიმიტრი, შენ ნუ დარღობ, — ალერსით უპასუხა ცოლმა...

კარგა გათენებული იყო, ექიმი ჩომ წამოდგა ავადმყოფის საწოლთან მიდგმული სკამიდან. სოფელში ქათმები აკრიახდნენ, ჭიშკრები და ოწინარები აკვნესდნენ და აჭრიალდნენ. ძროხა აბლავლდა, ძალი აყ-ეფდა. ნისლი ნელა ჩამოდიოდა მთებიდან და მდინარისაკენ მიიწვედა.

ექიმს დილით მურაბიანი ჩაი, ხა-ჭაბური, ქვის კეცხე გამომცხვარი, ცივი წყლით გარეცხილი ოხშიერიანი მჭიდრი, ერთი წველა ოთხად და-მტკრეული ყველი და ტყემლის სა-წებელში ჩადებული შემწვარი წი-წილი მიართვეს.

— უჲ, უჲ, რა მშვენიერია ყველ-აფერი, მაგრამ ძალიან შეწუხებულხართ, თქვენი ჭირიმე, გაგიგონიათ? — გაილიმა უქმიბა, სურნელოვანი პიტინის ჩაი მოსვა და ავადმყოფს მიუბრუნდა: — აბა, შენ იცი, ჩემო ღიმიტრი, გული არ გაიტეხო. ამ ნემსებს ჩაათავებ და წამო-დგები. ოლონდ, იცოდე, კარგად უნდა იკვებო. ეს საჭმელი, შე კაცო, მკვდარს გააცოცხლებს. რომ გამოიდარებს, სულ პაერზე იყავი. არ შეეპუო მაგ შეჩვენებულ ციებ-ცხელებას. როგორც კი შეძლებ, შე-

გექი ცხენზე და ჩამოდი ჩემთან ოზურგეთში. მე და ასენმა ბევრი ვილაპარაკეთ წუხელ, როცა შენ ჩა-გეძინა. ყოჩალი, მონდომებული ბი-ჭია. აუცილებლად უნდა ისწავლოს. დანარჩენ შენს შვილებს ხელ-ობა ურჩევნიათ, პოდა, ვისაც რა ურჩევნია, ის უნდა აკეთოს. შენ რას იტყვი?

— რა მეთქმის, თქვენი ჭირიმე, მადლობის მეტი! როგორც თქვენისთანა კაცი მირჩევს, ისე მოვიქ-ცევი. — ცოლს გადახედა ცოტა მო-მჯობინებულმა დიმიტრიმ. ცოლმა დასტურის ნიშნად თავი დაუქნია ქმარს.. . . . .

— ბინად ჩემთან იქნება, როგორც შევძლებ, ისე დაგეხმარები. აბა, წავედი, — გამოემშვიდობა ყველას ექიმი, ბავშვებს მიუალე-რსა და აიგანზე გავიდა.

ისეთი ნათელი, კრიალა დღე იღ-გა, ვითომ გუშინ ცა არ ჩამოდიო-დათ ფეხით დედამიწაზე.

შუა ეზოში ელოდა შეკაზმული ცხენი.

— დაბრძანდით, — უთხრა არსენმა ექიმს და უნაგირი ორივე ხელ-ით დაუჭირა.

„სულ ახალგაზრდაა, ბიჭია ჭერ და როგორი ჭიუადამჯდარი კაცის საქციელი და სიდარბაისლე აქვს“, — გაიფიქრა ექიმმა.

